ივლისი ✻ აგვისტო 1902

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I მეფე და მოხელეები იგავი—ალ. მიჩიანაშვილისა . . . 3
II ერთგული სპილო ამბავი რუსულიდან 5
III მელიას გამარჯვება იაპონური არაკი—თორნიკესი . . 7
IV გაზაფხული ლექსი—შ. მდივანელისა 10
V ჭიკ-ჭიკ (თარგმანი)—ბეს. კაშაძისა 12
VI ევეზი (ლუნკევიჩისა)—კ. ფრონისპირელისა. 16
VII მელიას თავ-გადასავალი, ზღაპარი (გაგრძელება)—ალ. ნა-
თაძისა 22
VIII ლგმური. ეოდეეილი ერთ მოქმედებათ (თარგმანი)—ან.
ოცხელისა 31
IX პატარა დედოფალი (თარგმანი) გაგრძელება იქნება—ს.
ციციშვილისა 44
X ფილომელა ლ პროკნა (ოვიდიუსიდან)—ა. ყუმისთაველისა. 60
XI წითელი კვერი მარკ-ტვენისა (თარგმანი)—ნინოსი . . . 67
XII ანგელოზები—ბაჩანასი. 81
XIII აღმოსავლეთის დედოფალი ევდუქსია (ფრანგულიდან)—
ან. წ—ისა. 83
XIV ანეგდოტები. 89
XV წერილმანი: ანდაზები, გამოცანები, უჯრების ამოცანა,
არითმეტიკული ამოცანა, შარადები, რებუსი და სხვა . 90

ეს «ჯეჯილის» ნომერი ეგზავნებათ მხოლოთ იმათ, ვისაც წლიური ფული სრულათ აქვთ გადახდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილები

საუმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაბურდი, გახდი ყანად!..
ი. ბ.

№ VII—VIII

წელიწადი მეცამეტე

ტფილისი
სტამბა ტ. მ. როტინიანცისა, № 41 | Тип. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41
1902

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17-го Іюня 1902 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲔᲤᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲔᲚᲔᲔᲑᲘ.

ᲘᲒᲐᲕᲘ

ᲐᲠᲗ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲐᲣᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲮᲔᲚᲔᲔᲑᲘ ᲰᲥᲐᲕᲓᲔᲜ. ᲐᲛᲐᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲝᲡᲐᲥᲛᲔᲗ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲕᲐᲠᲒᲘᲡᲔᲑᲘ, ᲣᲪᲝᲓᲘᲜᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲠᲗᲐᲛᲔᲜᲘᲪ ᲑᲔᲕᲠᲜᲘ ᲔᲠᲘᲕᲜᲔᲜ. ᲐᲛ ᲛᲝᲮᲔᲚᲔᲔᲑᲖᲔ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲖᲦᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲓᲘᲝᲓᲐ. ᲘᲤᲘᲥᲠᲐ, ᲘᲤᲘᲥᲠᲐ ᲛᲔᲤᲔᲛ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ: ᲠᲐᲪ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲨᲘ ᲜᲐᲛᲠᲐᲮᲘ ᲛᲝᲮᲔᲚᲔ ᲛᲝᲘᲰᲝᲕᲔᲑᲝᲓᲐ, ᲣᲕᲔᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲐ, ᲗᲕᲘᲗᲝᲔᲣᲚᲡ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡᲐᲕᲔ ᲡᲘᲐᲮᲚᲝᲕᲔᲡ ᲒᲐᲜᲣᲬᲔᲡᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲖᲔ—ᲨᲝᲠᲡ ᲜᲐᲥᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲝᲮᲔᲚᲔᲔᲑᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ.

ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲘᲓᲐᲗ ᲘᲣᲪᲮᲝᲕᲔᲡ, ᲘᲣᲙᲐᲓᲠᲘᲡᲔᲡ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲕᲔᲚᲐᲛ ᲡᲐᲗᲘᲗᲐᲝᲗ, ᲛᲐᲚᲕᲘᲗ ᲗᲣ ᲪᲮᲐᲓᲚᲘᲕ, ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲣᲕᲔᲓᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდურავი: «როგორ,— ჩიოდენ ისინი,— ავი მოხელეები თავის გვერდზე დასხა და ჩვენ-კი ცხრა მთას იქით გვიკრა თავი; ეს რა სამართალია?»

ამათ სამდურავმა მეფის ყურამდის მიაღწია. მეფეს ეს ეწყინა და განრისხებით წარმოთქვა: «მიკვირს, როგორ ვერ მიმიხვდით ასრს: ჩემს სიასლოვეს ეოფნა იმათ შეჭფერისთ, ვისაც ჩემი თვალის-დევნება და ხელმძღვანელობა ეჭირვებათ; თქვენ-კი საცა უნდა იყვნეთ, სამსახური უჩემოთაც კარგათ შეგიძლიანთო».

ალ. მირიანაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთგული სპილო.

ერთხელ ინდოეთში გაცხარებულ ბრძოლის დროს ერთი სპილოს თან-გამყოლი მძიმეთ დასჭრეს და ეს უბედური ფეხზე ველარ წამოდგა.

არავის არ ჰქონდა დრო, რომ ეპატრონებინა. კაცს საშინელი უბედურება მოელოდა, შესაძლო იყო ფეხით გაეთელათ. რამდენჯერმე საბრალომ ძალა მოიკრიფა, უნდოდა ამდგარიყო, მაგრამ ყოველთვის ოხვრით და კვნესით ისევ ისე ეცემოდა მიწაზე. სპილოს უნდოდა ხორთუმით ეშველა, დაეყენებინა მიწაზე, მაგრამ უბედური ფეხზე ვერ ჩერდებოდა. მაშინ სპილომ დიდი სიფრთხილით ასწია, ხორთუმი მოხვია წელზე და ისე აიტაცა ჰაერში.

ჯარის-კაცებმა ეს რომ დაინახეს მივარდენ და უნდოდათ გამოეტაცნათ ხორთუმიდან დაჭრილი კაცი, რადგან სპილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესაჭიროებოდათ სარბაზნის წასაღებათ, მაგრამ ერთგულმა ჰირუტეემ ასლოსაც არ მიუშვა ისენი დაჭრილთან.

სპილომ თავისი ტვირთით ფრთხილი ნაბიჯით გასწია კარავთან, და იქ სათუთათ დაუშვა მიწაზე დაჭრილი კაცი, მერე დაბრუნდა ბრძოლის ველზე და განაგრძო თავისი საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიას გამარჯვება.

(იაპონური ანეკი)

ტყეში ერთ სოროში ცხოვრობდენ მეგობრულათ: მაჩვი, მელა და მისი შვილი. რადგანაც იმათ ძრიელ ეშინოდათ საფანგში გაბმისა, სოროდან გარეთ ვერ გამოდიოდენ. თითქმის მათ შიმშილისაგან სული ხდებოდათ, როცა მაჩვმა უთხრა თავის ამხანაგებს:

— როგორც ხედავთ, მეგობრებო, ასე გაჩერება არ გვარგია, შიმშილისაგან ლაბის წუთი-სოფელს გამოვესალმოთ, უსათუოთ რამე ხერხს უნდა მივმართოთ. ჯერ-ჯერობით შემდეგი მოვიგონე: მე თავს მოვიმკვდარუნებ და შენ, მელავ, ჩაიცვი ჯარის-კაცის ტანისამოსი და გამიტანე ბაზარში გასაყიდათ; მე მკვდარი ვეგონები ვისმეს და მიყიდის. ჩემში ამოგებული ფულებით იყიდე სხვა-და-სხვა სანოვაგე და მოჰკურცხლე სახლისკენ; მეც მალე დავუძვრები ხელიდან ჩემ ბრიყვ მეიდველს და ერთ წამს თქვენთან გავჩნდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიას ძრიელ მოეწონა მაჩვის წინადადება, მოეწყო, გადიდვა ზურგზე მაჩვი და გაიტანა ბაზარში; იქ იმან მაჩვი რიგიან ფასათ გაჰყიდა; იყიდა ბევრი რამ საჭოვაგე და მოვიდა სახლში. ის იყო ჭამას უნდა შედგომოდენ, რომ აქლოშინებული მაჩვმაც მოირბინა; დაიწყეს სადილის ჭამა და მართლაც რომ მოსაწონებლათ ისადილეს.

სანამ მაჩვში აღებული ფულით ნაყიდი საჭოვაგე იყო, არხეინათ ცხოვრობდენ, მაგრამ ისიც მალე შემოელიათ; ახლა ჯერი მელიაზე მიდგა: მაჩვმა გაიტანა ბაზარში ვითომც მკვდარი მელა და სწორეთ რომ კარგ ფასათ გაჰყიდა. ამონაგებ ფულით სამივე ერთ თვეს თამამათ გამოიკვებებოდენ, მაგრამ ცბიერს და გაუტანელ მაჩვს არ უნდოდა მელიასათვის გაეზიარებინა, ამისათვის—როცა იშოვა დრო, მეიდველს ყურში წაუჩურჩულა:

— მგონია, მეგობარო, მელია ცოცხალია, ეცადე არ წაგივიდესო, რის შემდეგაც მეიდველმა მელიას ერთი მისთანა სდრუბა, რომ იქვე სული გააფთხობინა.

მაჩვმა იყიდა აუარებელი საჭმელი, მოვიდა ტყეში და არხეინათ მარტო შეექცეოდა. მშიერი, დაობლებული მელიას შვილი-კი შორი-ახლოს იდგა და ღვრიდა მწარე ცრემლებს.

მალე დაობლებული მელა შეუდგა მაჩვის ჯავრის ამოყრას, ამისთვის მაჩვს ის ისე ექცეოდა, თითქოს არ იცოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მაჩვი იყო მისი დაობლების მიზეზი. ერთხელ მელიამ უთხრა მაჩვს:

— ორივემ კაცის ტანისამოსი ჩავიცვათ; ვსდებ სანამ-ლევოს, რომ შენ მე ვერ მიცნობ და თუ მიცანი, მაშინ შეგიძლია გამეიდოო.

მაჩვი დათანხმდა და წავიდა ტანისამოსის გამოსაცვლელათ. მელია-კი ხეს ამოეფარა და უყურებდა. გამოვიდა კაცურათ გამოწყობილი მაჩვი. ამ დროს მის საუბედუროთ ეტლით მთავარი მოდიოდა, მას მრავალი შეირაღებული მხლებლები უკან მოჰყვებოდა. მაჩვს ეგონა ეტლში მჯდომი მელა არისო, გაექანა მისკენ, შეხტა ეტლში და მიაძახა:

— აი, ეშმაკო, შენა! ხომ მოგაგენი, ახლა ნიძლევი ჩემია, წამოდი—გაგეიდოო!

საბრალო მაჩვმა სიტყვის დათავება ძლივს მოასწრო, რომ მივარდენ მხლებლები და მოჰკლეს. ამით დაკმაყოფილებული მელიას შვილი-კი სიცილით კვდებოდა.

თორნიკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხული.

ტრედის ფერათ განათებულს
გადუერია ცას წუვდიადი;
აღმოსავლეთს ჰირი უკრთის.
განთიადი!.. განთიადი!..

ასმაურდა ფრინველთ გუნდი,
მთა და ველმა გახსნა გული;
შორს მინდორი მობიბინებს
მოკაზმული, მოქარგული.

ტყეს და ჭალას აშრიალებს
საამურათ ნიავ-ქარი;
ნეკერჩხალი ჰკოცნის მუსას,
როგორც კაი მეგობარი.

უმაწვილებო, გაიღვიძეთ,
არ გეუოფათ? კმარა ძილი!
შეუერთეთ თქვენც ბუნებას
სიკასკასე და სიცილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხეთ მერცხალს გაზაფხულის
მოკიქულს და მახარობელს,
როგორ ტკბილათ შეჭიკჭიკებს
თავისს დედას, თავისს მშობელს.

ორივე კი ერთის გრძნობით
მისცემიან სიხარულსა;
აქებენ და ადიდებენ
განთიადს და გაზაფხულსა.

შ. მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიპ-ჯიპ.

ერთმა ცელქმა ბავშმა ბელურა ჩიტს მოჭვარა ბუდიდან ერთი კვერცხი, წაიღო და ჩუქათ ჩაუდვა ბუდეში გულ-უვითელა ჩიტს. გულ-უვითელამ გამოჩეკა ჰატარა ბარტყები ნაცრის-ფერი და გულ-უვითელები; ბელურას კვერცხიდან-კი გამოიჩიკა რუხი და თავ-უვითელა. გულ-უვითელამ ახედ-დახედა ბარტყს, იუცხოვა და გაკვირვებით თქვა: «ღმერთო ჩემო! ეს რა მახინჯი რამაა?!» ეს უცხო ბარტყი ხმითაც-კი გაირჩევოდა, გულ-უვითელას ბარტყები იმახოდენ: «ტინ-ტინ», ხოლო უცხო გაიმახოდა «კიკ-ჯიკ».

ეროვნული ბიბლიოთეკა

— «ეს ნამდვილათ ბელურა არის, ჩემ ბუდეში ვილაცას ბელურას კვერცხი ჩაუდევს», მიხვდა ბოლოს გულ-უვითელა ჩიტი...

გულ-უვითელა სანამდის ბელურა კარგათ არ წამოიზარდა და არ დაფრთიანდა, აჭმევდა და უვლიდა ბელურას თავის საკუთარელ შვილებთან ერთათ. როდესაც პატარა ბელურა წამოიზარდა, ფრთები შეესხა და საჭმლის შოვნასაც თითონ ასერხებდა, გულ-უვითელამ უთხრა: «ჩემო კარგო! შენ ჩვენიანი არა ხარ, შენ ჩვენთვის უცხო და შორეული ხარ, ახლა გაფრინდი შენ მონათესავეებთან და იცხოვრე თავისუფლათო!»

ბელურამ ამაზე უთხრა გულ-უვითელას: «სად არიან ჩემიანები, ჩემი ნათესავები, მე ისინი არსად მეგულებიან და ვერც ვიცნობ იმათო!»

გულ-უვითელამ ასწავლა: იკითხე ყველგან, სადაც გიპასუხონ: «ჭიკ-ჭიკ», შენი მონათესავეებიც იქ იქნებიან; ჩვენ ტყეში და მინდვრებში ვცხოვრებთ და თქვენები-კი ადამიანებთან არიან მიკედლებულიო»...

მეტი გზა არ იყო, ადგა ბელურა და გაფრინდა თავისიანების საძებნელათ; მიფრინდა ერთ უცნობ სოფელში, ჩამოჯდა ბებერ ხეზე ერთ სახლის მახლობლათ, ჩაფიქრდა და თავისთვის ჩაილაპარაკა: «იქნება აქა ცხოვრებენ ჩემი მონათესავეებიო» და ჩაიხედა დამპალი ხის ფუღუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როში.—ქვა! ძრისსანეთ შეჭეკირა მას ფულუროდან—ბელ-ლამ; «არა, ეს ჩემიანი არ არის», იფიქრა ბელურამ და აფრინდა მაღლა. მერე ერთ სახლის ეზოში შეისედა და წამოიძახა: «ჭიკ-ჭიკ».

— ამუ! შეუუეფა მას ძაღლმა.

«არც აქ ეოფილან ჩემიანები», გულ-დაწუვეტით თქვა ბელურამ. აფრინდა, შეჭეო თავი სადორეში და ჩასძახა თავისებური «ჭიკ-ჭიკ».

— ღვრინს! მოისმა ღორის ხმა.

ბელურა ძრიელ დაღონდა, აფრინდა და იქვე ქოხის მახლობლათ ხალის ზვინზე დაჯდა და იფიქრა: იქნება აქ მაინც ვნახო ვინმე ჩემიანიო და დაატანა: ჭიკ-ჭიკ».

— მიაუ, მიაუ! მოისმა კატის ხმა: ბელურას, ცოტა არ იყოს, შეეშინდა, შეფრინდა სახლის ბანზე, იქაც დაედევნა ციცუნია დასაჭერათ. შეშინებული ბელურა ერთ სახლში შეფრინდა, იქიდანაც ადამიანებმა დაუწეეს დევნა და გარეთ გამოგდება. სახლიდან გამოფრინდა ბელურა ეზოში, ეზოდან ბოსტანში, სადაც ბოსტნის კვლებზე ჩამწკრივებული იყვენ ძრავალი ჩიტები და ჭიკჭიკობდენ. — «ჭიკ-ჭიკ!» მისცა ხმა ახალ-მოსულმა ბელურამაც; ისინი «ჭიკჭიკით» და დიდი სიხარულით შემოერტყენ გარშემო ახალ-მოსულ სტუმარს...

— «ახლა-კი ვნახე სწორეთ ჩემიანები და დღეის იქით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერათ ვრაცხ ჩემ თავს. სიხარულით ჩაილაპარაკა ბუ-ბუ-ღურამ და სხვებთან ერთათ იწყო მხიარულათ ცხოვრება. ეტყობა ჩიტსაც-კი ჰყვარებია თავის საშშობლო და მონა-თესავები!...

ბეს. ვაშაძე.

(თარგმანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ე ფ ხ ი.

ვეფხი ღონით და სიმარდით ლომს არ ჩამორჩება. სიდიდით ლომზე მაღალია და სრული. სვადი ვეფხი ოთხი—სუთი არშინის სიგრძეა, სიმაღლე-კი არშინ-ნახევარზე მეტი არ ექნება, სიმძიმით ათი ფუთამდის იწონს. ძუ ვეფხი უფრო დაბალია და სიმძიმით შვიდ ფუთზე მეტი არ გამოჯა.

მართალია ვეფხს ლომსავით ფაფარი არა აქვს, მაგრამ სამაგიეროთ ტუავი დაჯრელებული აქვს და სილამაზით ლომს არ ჩამოურჩება: ზურგი და ფეხები უვითელი, მუცელი და გული თეთრი და მთელი ტანი შავი ზოლებით აფერადებული, უველა ეს ვეფხს ისეთ ლამაზ სანახავ მხეცათ ხდის, რომ კაცი აღტაცებაში მოდის. სვად ვეფხს ფაფარის მაგიერათ უბებზე ბანალი აქვს წვერებივით ჩამოშვებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეფხი კატის გვარისაა. მარდი და გამბედავი, ძლიერსა-ნე და გამჭრიახი გონების ბატრონი, ვეფხი სხვა მხეცებსე ბევრათ უფრო ჭკვიანი ბირუტუკა.

სტომით ვეფხი, ძალიან მარდათ სტის, სამ საუნზე შეუძლიან გადასტეს ისე, რომ მარცხი არ მოუვიდეს. ცურაობაც კარგათ იცის. ლომსავით, ხშირათ, დიდ მხეცებსაც შეებმის ხოლმე, მაგალითათ: სპილოს, მარტო-რქას, გარეულ კამბეჩებს და სხვას და ხშირათ ბრძოლის ველზე გამარჯვება ვეფხს რჩება, თუმცა ზოგჯერ მარტო-რქა ამ თავსედ მეომარს თავის მძლავრი რქით სულს ანთხევინებს.

ლომის გვარათ ვეფხიც საღამოობით ნადირობს; უსაფრდება იმ ადგილას რა გზითაც მისი საკბილო მხეცები წყლის დასალევათ დადიან და დაინახავს თუ არა მსხვერპლს მაშინვე ერთი გადასტომით კისერზე დაეცემა, ბრჭყალებს უჭერს და კბილებით ჭვლეჯს. საბრალო მსხვერპლიც ადარ იზოგავს თავის უკანასკნელ ძალ-ღონეს და ცდილობს როგორმე დაუსხლტეს საშინელ მხეცს კბილებიდან, მაგრამ ამაოდ. ღონე-მისდილი ეცემა და სულსა ლევს, მკვდარს ნადირს ვეფხი მოუარებულ ადგილს მიარბევინებს და გულდამშვიდებული სჭამს. რომ გაძღება წყლის დასალევათ მიდის, დანარჩენ ხორცს-კი ინახავს სახვალიოთ.

ვეფხი ყველა ცხოველის ხორცსა ჭამს, როდესაც მოშივა კურდღლებს, თაგვებს, ჯოჯოებს და აურიოლებულ ლეშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც გემრიელათ მიირთმევს. კუს და თევზებსაც ხშირათ ეტანება.

ვეფხი სამგვარია. ვეფხი, რომელიც იკვებება მარტო გარეული ცხოველების ხორცით. მეორე, რომელიც შინაურ ჰირუტუკს სჭამს და მესამე კაცის-ჭამია ვეფხი.

კაცის-ჭამია ვეფხს ადამიანისა თითქმის ეშინიან, მაგრამ თუ ადამიანს რამდენჯერმე შესვდა, თვალს აჩვევს და შესაჭმელათაც მოინდომებს. გემოს რომ გაიღებს ცხოველებზე ნადირობას თავს ანებებს და ადამიანს დასდევს.

აზიაში კაცის-ჭამია ვეფხი ხშირია და დიდ ზარალსაც აძლევს მცხოვრებთ. ღამ-ღამე და ხშირათ დღეც მგზავრს გზაზე უსაფრდება და დაინახავს თუ არა, თავს დაეცემა და ერთ წამს გაგლეჯავს, ამიტომაც იქაური მცხოვრებნი ხშირათ ტოვებენ სახლ-კარს და სხვაგან მიეშურებიან საცხოვრებლათ.

ერთმა ვეფხმა სამი წლის განმავლობაში შეჭამა ას რვა კაცი და 1877 წლიდან 1887 წლამდე ინდოეთში ვეფხებისაგან შეჭმულთა რიცხვი 10,000 კაცამდის იანგარიშეს. უფრო მეტ შიშსა და ვაი-ვაგლახშია მიწის მუშა სალსი, ტეის მუშა და მწყემსები, ერთი სიტყვით ვინც მოშეტებულ დროს ტყეში ან მინდვრათ ატარებს. მეტის-მეტათ შეეიწროებული ინდოელები ბევრ ღონისძიებას ხმარობენ ვეფხების ამოსწყვეტათ.

ათი წლის განმავლობაში 1877 წ. 1887 წლამდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდოელებისგან მოკლულ იქმნა ჩვიდმეტ-ათასამდე ვეფხი. უწინდელ დროში ჩინელებს და ინდოეთელებს ვეფხზე ნადირობა დღესასწაულ დღეთ მიაჩნდათ. ხშირათ თითონ ჩინელი სელმწიფეებიც ნადირობდენ ვეფხებზე. ახლაც ინდოეთელი თავადები ამგვარათ ნადირობენ: ტეის ჰირას მახეს დაუგებენ და ორასამდის შეიარაღებული ვაჟკაცი, მაშხალებით სელში, ეკირილით და კიჟინით მოედება ტეეს. დამფრთხალი ვეფხი გაურბის ეკირილს, ეცემა მახეში და შიგ გაებმის; ამ დროს ჩასაფრებული მონადირეები შემოეხვევიან გარს და თოფებით ჭკლამენ.

სხვანაირათაც ხოცენ ვეფხებს. შეიარაღებული მონადირეები შესხდებიან სჰილოებზე და, როდესაც დაინახვენ ვეფხს დაუწყებენ თოფების ან შუბების სროლას. ხშირათ გათხრილ ორმოებითაც სარგებლობენ, სადაც წვეტიან შუბებს არჭობენ და ზევიდან ფიჩხებს აფარებენ, ახლო, მისატეუებლათ, ხორცის ნაჭერს დასდებენ; ვეფხი აქ უშიშრათ მოდის და ორმოში-კი ვარდება, შუბებზე ჩამოეგება და კვდება.

აი კიდევ ერთნაირი ხერხი ვეფხის დასაჭერათ: შემოლობენ დიდ ადგილს და ერთ მხარეს იმოდენა კარებს დაუტოვებენ, რომ ვეფხი შეეტიოს. ხვრელის შიგნით, ცოტა მოშორებით რასმე მისატეუებელს დასდებენ, კარებზე-კი ისე მოხერხებულათ ჭკიდებენ დიდ ლოდს, რომ როგორც ვეფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხი შეჭეოფს თავს ჩამოკიდებული ლოდი წუდება, ეცემა ვეფხს თავში და სულს ანთხევინებს.

ვეფხს თუმცა ხარალი ბევრი მოაქვს, მაგრამ ბევრ სარგებლობასაც აძლევს მცხოვრებლებს. ვეფხის ტყავი ძვირ ფასში იყიდება. ქონისაგან ამზადებენ სამკურნალო წამლებს და ინდოეთში ძვლები, ენა და ღვიძლი გემრიელ საჭმელათ ითვლება, აგრეთვე მარგებელ წამლათაც. კბილებს და ბრჭყალებს სახლის მოსართავ სამკაულათ იყენებენ. ვეფხის ხორცის ჭამა, როგორც ინდოეთელები ფიქრობენ: კაცს ამამაცებს, აფხიზლებს და ამის გულისთვის სალისიანათ სოცვენ უფრო კაცი-ჭამია ვეფხებს. ინდოელს, რომელსაც მოუკლავს რამდენიმე ვეფხი გმირათ სასაგენ, აქებენ, ადიდებენ და დიდ პატივსა სცემენ.

ვეფხი ცხოვრობს აზიაში, ინდოეთში, ჩინეთში, სპარსეთში, ალაგ-ალაგ სამხრეთ ციმბირში და იშვიათათ საქართველოშიაც შეხვდებით, რომელნიც უეჭველია სპარსეთიდან გადმოდიან. ლომივით ვეფხიც საცხოვრებლათ მივარდნილ ადგილს ირჩევს. ტყეს, რომელსაც ძლიერ ცხელა მაშინ ეტანება; მომეტებულ დროს-კი დიდრონ ბალახებში, ჭაობებში, ჯაგებში, კლდეების დიდ ნაპრალებში, დანგრეულ სასახლეების ან ეკლესიების ნანგრევებში ატარებს. ვეფხის ცხოვრება ძლიერ წააგავს ლომის ცხოვრებას.

უწინდელ დროში რომაელებს მხეცებს შორის ბრძოლის გამართვა უყვარდათ. მოედანზე გამოჭეავდათ ლომები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვილოები, ვეფხები, დათვები, გარეული ხარები და ხვა. რომაელები უწინ კერპ-თაყვანისმცემლები იყვენ და ქრისტიანები საშინლათ სძულდათ; დევნიდენ, აპატიმრებდენ და თუ კერპთ-თაყვანისმცემლობას არ იკისრებდა მხეცებს აძლევდენ შესაჭმელათ. ამ დროს ათასამდის რომაელი შეგროვდებოდა და აღტაცებით უყურებდენ თუ როგორ გლეჯდა საშინელი მხეცი ცოლ-ქმარს და მამა-შვილებს.

1898 წ. მოსკოვის სამხეცოში ერთი კაცი, გვარათ «ლისტი», აჩვენებდა ხალხს მოშინაურებულ ლომებს და ვეფხებს. მართლაც და მშვენიერი სანახავი იყო, თუ როგორ ემორჩილებოდენ პატრონს ეს საშიში მხეცები: თითქოს შინაური კატები ან ლეკვებიაო, პატრონის ბრძანებით თამაშობდენ, თავებს იმკვდარუნებდენ, ყალეს დგებოდენ და სხვ. სასაცილო სანახავი იყო, როდესაც გალიაში გამოძწყვდეული ლომი და მისი ლეკვი, დიდკაცური ტანთსაცმელით და ქუდით გამოწყობილნი, ჩაესხათ დროშში და დაასეირნებდენ. ისე არხეინათ გამოჭიმულიყვენ შიგ რომ ნამდვილათ დიდ კაცები გეგონებოდათ. დროშში ცხენების მაგიერ ორი ვეფხი ება.

კ. ფრონისპირელი.

(ვ. ლუნკევიჩისა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიას თავ-გადასავალი.

(ზღაპარი)

თ:ვი VII.

ასახლეში დიდი ლხინია. რა ვინდა, სულო და გულო, რომ იქ სუფრაზე არ ელაგოს? სადღეგრძელოებსა და სიტყვებს ხომ დასასრული არა აქვს. აქებენ და ადიდებენ ბოსკერასა და ტუჩას სულგრძელობას, გულ-კეთილობას, რომ ამათ სასოგადო მშვიდობიანობისათვის დაივიწყეს უველა გაძოველილი შეწუხებანი.

შეჩვენებულ მელიას-კი ამ დროს შიგნიდან ჩაუკეტია თავისი ცოხე-დარბაზი და შინიდან ფეხს არ იცვლის. ეს ვაჟკაცი ველარა ჭბედავს სასახლეში წასვლას და ასალ-ასალ ოინების ჩადენას. სასახლეში-კი ისეთი წვეულობა იყო გაჩაღებული! უველას მხიარულობა ეტეობოდა, უველას დარდი ჭქონდა გულიდან გადაურილი. ბევრსანსაც გაგრძელდებოდა სტუმრების ასეთი მდგომარეობა, რომ ერთ გარემოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას ხელი არ შეეშალა: მეფესთან შემოვარდა საცოდავი დასისხლიანებული ბაკია და მოთქმით დაიწყო ტირილი:

— გენაცვათ, გვიშველეთ რამე, დამიხსენით იმ შეჩვენებული მელიასაგან. გუშინ მე ჩემთვის გზაზე მივდიოდი, ვხედავ — შეჩვენებულს დაეჩოქნა და თვალები ზეცისკენ ჭქონდა მიპყრობილი და ჩუმათ რაღასაც ბუტბუტებდა, მე მეგონა ლოცულობს-მეთქი. თანასმათ თქვენი მოწყალებისა თავისუფლათ გვერდზე გავუარე. მომვარდა წყეული და აგერ ეური სულ მთლიანათ მომაგლიჯა. მე, როგორც იყო, სიკვდილს თავი დავასწიე და გამოვიქეცი თქვენკენ. თქვენ აქა ლხინობთ და იქ-კი ავასაკი მელია ყველას მუსრს ავლებს...

ამ დროს შემოეორინდა ეორანი და საცოდავათ მორთო ეორანტალი:

— მე აქ სამწუხარო ამბებით მოვსულვარ. შიშისაგან სიცხლი მემღვრევა. გული საგულეში ადარა დგება... დღეს დილით მე და ჩემი მეუღლე მინდორში გასლდით და მვდარი მელია დავინახეთ. სიბრალულით გული აგვემსო. — «ოჰ, საცოდავი, რა უდროოთ გადაცვლილა, აფსუს, მშვენიერო ვაჟკაცოო», — წამოიძახა ჩემმა მეუღლემ. იქნება გულ-შეწუხებული იყვეს და ეშველოს რამე ამ უბედურსაო. კეთილი სული მივიდა და სულის-განაბვით დაუწყო ეურის გდება მის გულის მგერას. წამოვარა შეჩვენებული და იქვე თავი წააგდებინა ჩემს თვალის ჩინს მეუღლეს. ასე უნუგეშოთ, უსწოროთ დავრჩი! ამას არ დასჯერდა შეჩვენებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დასაჭერათ მეც გამომეკიდა. შიშის ზარმა დამეკრა, რო-
გორც იყო გავექეცი და თავი გადავირჩინე. საცოდავ ჩემო
მეუღლევ! როგორ-და უნდა გავძლო უშენოთ! რაგორ და
მოვუარო ჩვენს ობლებს. იგი ჩემს თვალ-წინ მოკვდა. რა-
ტომ არ დამიბნელდა მაშინ თვალები და მეც მასთან არ
წავედი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. შემიბრალეთ,
შემიწუალეთ, დიდებულნო თვით-მჭურობელნო, დასაჯეთ იგი
და ცოტათი მაინც დაამშვიდე ეს დატანჯული გული.

— მე მას სასტიკათ დავსჯი! წამოიძახა განრისხებით
ლომმა და კუდი აქეთ-იქით გადააქნია.— შეჩვენებული ბა-
ხუხს აგებს ყველაფერზე; ახლა მისი მლიქვნი ენა ველარ
გასჭრის.

— ჯერ უნდა თვით მას, მელიასაც, შევეკითხოთ. უ'ნდა
მოვუსმინოთ მეორე მხარესაც და ასე ამგვარათ გავასამართ-
ლოთ, შენიშნა დედოფალმა.

— დეე, გამოცხადდეს იგი დაუყოვნებლივ და ყველაფე-
რი განვიმარტოს, ჩაერია ფოცხვერი.

— განა კიდევ საჭიროა გამოძიება? დაიწყო ტუჩამ.- ნუ
თუ დაგავიწყდათ რა ოსტატურათ მოატყუილა ხაზინის შე-
სახებ მისი დიდებულება? ყველანი გააცრუა შეჩვენებულმა.
მე და დათვს შეურაცხება მოგვაყენა. ახლა იგი თულათ
არის მინდორში გაყარდნილი და გასურჩყველათ ყველას
მუსრს ადენს. თუ ძალა არ ვიხმარეთ, განა იგი თავის-
თავათ გამოცხადდება ხასახლეში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე გავცემ ბრძანებას — ქუდზე კაცი გამოვიდეს — ეარაღებული. ერთი კვირის შემდეგ გავალთ სალაშქროთ იმ შეჩვენებულის წინააღმდეგ. მე გადაწყვეტილი მაქვს ბოლო მოვუღო ყოველ-გვარ ჩივილსა და უწესოებას: ჩაიცვით ჩაჩქანი, შეიარაღდით შუბითა და ფარით, გაიჩინეთ ლანტების ტაცა-ტაკუცი. იერიშით მივადგეთ აკაზაკის ციხე-დარბაზს და სულ მთლათ მიწასთან გავასწოროთ იგი, ბრძანა ლომმა.

— ჩვენი თავი თქვენი ჭირის-სანაცვლო იყოს; ჩვენ ყველანი შსათა ვართ, დაიგრიალა ბრბომ.

რჩევაში მაჩვიც მონაწილეობას იღებდა. მოისმინა რა შეკის ბრძანება, იგი ჩუმათ გამოვიდა გარეთ და ჰირდაპირ ბიძიასთან მოცხრილა ამბების გადასაცემლათ.

— ოჰ, საწყალო, ბიძია-ჩემო, — ფიქრობდა თავისთავათ ბრძენი მაჩვი. — შენი ცოდვით ყველა შენს მეგობარს გული წუდება. თუმცა-კი ჩვენც არ დაგვსოგე, გაგვარ-გამოგვკარ შენი მწარე ენა, მაგრამ ამაზე ჩვენ შენ არ გემდურით, ასეთი ქცევა საჭირო იყო საქმისთვის და ჩვენც არაფერი გვეკვნო, რადგანაც იმ დროს საშშვიდობოში ვიყავით.

აი ბატონი მელიაც. მას დაეჭირა ორი ახალგაზდა მტრედი და გემრიელათ შეექცეოდა.

— მობრძანდით, მობრძანდით, ჩემო ძმისწულო! მოსდენილათ მოიღერა შეჩვენებულმა კისერი და თეთრი კბილები გამოუარა.

— გენაცვალე, რასაირათ გაოყლიანებულხარ! გეტყობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან გირბენია? გული გეხუთება, მგონი. აბა, ...
— ხომ კარგი მახარობელი სარ? ვაჟია, თუ ქალი? ჰა, იცო-
დე, სამახარობლო მზათ არის.

— ვერაფერი სასიამოვნო და სასიხარულო ამბით მო-
ვსულვარ აქ, ბიძია-ჩემო! დაიწყო სტუმარმა: — მეფე ძალიან
ჯავრობს თქვენზე, მას გადაწყვეტილი აქვს თქვენი ტუკეთ
ჩაგდება და სიკვდილით დასჯა. ბრძანებაა გაცემული — ქუდ-
ზე თითო კაცი გამოვიდეს, შეიარაღებული ფარითა და
შუბით, და თქვენი სასახლე მთლად გაანადგურონ.
ძველი და დათვი ძალიან მოწყალებაში ბრძანდებიან, მეფე
მუდამ ჟამს მოქმედობს თანახმათ მათი სურვილისა. შეჩვე-
ნებული ტუჩა დიდს ფაცი-ფუცშია — იგი არაფერს ზოგავს
ოღონდაც გავნოს როგორმე. ბოსვერა ხომ თქვენი სიხ-
ლის მსმელია და ვინ იცის რას არ ჩასჩიჩინებს ლომს
თქვენ შესახებ. ბაჯიამა და ეორანმა ხომ ეურები გაგვიჭ-
დეს თავისი საჩივრებით თქვენზე. ერთი სიტყვით ყველა
ამსედრებულა და თქვენს სისხლსა სვამს.

— სხვა ხომ არაფერი? თქვა ცბიერმა. მე არც მეფი-
სა მეშინიან და არც მისი თანამხლებლებისა. თქვენ არსეი-
ნათ იეაკით. წამობრძანდით ერთი რიგიანათ ვისაუბროთ.
მშვენიერი ძსუქანი მტრედები დამიჭერია და ერთი კარგად
ვიქეიფოთ მე და შენ. ჩემ ცოლიან-კი ნურაფერი გრჯის.
ეოველი სიტყვა ცუდათ მოქმედობს მის დადარდიანებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულზე. ხვალვე წავიდეთ ერთათ სასახლეში. მე შენ-ზე ბევრი დიცა მაქვს, ჩემო კარგო ნათესავო და მეგობარო.

— ჩემი თავი შენი ჯირის სანაცვლო იყოს, ჩემო ძია, სიამოვნებით უპასუხა მაჩვა. — გაბედულათ ილაპარაკეთ საქ-ჯავროში, ნურაფერისა შეგეშინდება; თქვენ გყვანან მეგობრე-ბი, რომლებიც გაჭირვებაში არ დაგტოვებენ.

— მეფე გაიგონებს თუ არა ჩემს ხმას, მაშინვე მოწყალების თვალით დამიწყებს ეურებას, დარწმუნებით ამბობდა ეშმაკი.

სასახლეში მელიას მეუღლე მშვენივრათ გაუმაჰინძლდა თავის მაზლისწულს. ვახშმის შემდეგ დასახლისმა გაუშალა სუფთა ლოგინი და მოასვენა იგი. გარეწარს-კი შიშისაგან მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. იგი მოუსვენრათ იყო და აქეთ-იქით კოტრიალობდა. დილით დაუძახა ცოლს და ასე დაუწყო ლაპარაკი: — ჩემი მმისწული და მეგობარი, ჩვენი ბრძენი მაჩვი მირჩევს სასახლეში წასვლას. შენ არსეინათ იყავი, ჩემო კარგო! იმდღესაც სახრჩობელა ამართული მქონდა, მაგრამ თავი დავაწყვიე. ახლაც ისევ უვნებლათ მო-ვალ სახლში. რა არა ხდება ქვეყანაზე, შესაძლოა ისე შე-იცვალოს გარემოება, რომ წელიდან ისევ მშრალი გამო-ვიდე.

ჯერ კარგათ არც-კი იყო გათენებული, რომ ბიძია და მმისწული გაუდგენ გზას. დასახლისს ლაპა-ლუპით ცრემ-ლები ჩამოსდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი VIII

— ჩემო ბედო, ჩემო მამა-ჰაბის სალოცავებო, დამის-სენით გაჭირებისაგან! — წარმოთქვა ქელიამ, როდესაც იგი მაჩვთან ერთათ გზა-ტაეცილზე მიცუნცულებდა. მე რიღასიც იმედი მაქვს, რომ დღესაც დავიხსნი თავს. მხოლოთ ეს არის, რომ ცოდვები მაწუხებენ. ოგბართავ ისევ, შენ, ჩემო მეგობარო და ჩემო მუდამ ჟამს ეოძღვარო, გაიგონე და შეიხმინე ჩემი ცოდვები, ილოცე ჩემთვის, რომ ზეციერმა მამამ გადმოიხედოს მე მოწყალეს თვალით, ჩემს გულს ნათელი მოჰფინოს. დიახ, შეჩვენებული ბიბია-შენის სული დატვირთულია მრავალი ცოდვებით! ბოსვერას ტაეი გაამრეს და იმ ტაეიდან საგზაო ჩანთა შემიკერეს. ტუჩასა და მის მეუღლეს ფესვაცმელებთან ერთათ ბრჭყალებიც გაამკრეს. მოვატეუე დიდებული ლომიც ვითომ და საზინის ბოვნით და შეთქმულობის გამოაშკარავებით. გულუბრეკილო ეურ-ცქვიტინა ჩემი გაუმაღრობის მსხვერპლი გახდა. მისი თავი ჩავუდე ეოჩს ჩანთაში და ამ უბედურსაც სიკვათი დავატეხე. ცოტა გაწყდა ბაჭიასაც ეს დღე არ დავაუენე, საცოდავს ეოჩსაც-კი ბოლო მოვუღე. ბეელი ცოდვები უფრო მიწვრილებენ გულს. ერთხელ ტუჩა გზაზე იწვა და იხმორებოდა. მე ჩამოვუარე და ვუთხარი: ნეტავი შენ! გამაღარხარ და ნებივრობ-მეთქი.

— «გავმაღარვარ-კი არა — ფერდები მეწვის ბიმშ.ლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც იმ დალოცვილ ღმერთს, როგორც ვატყობ, ჩვენი გვარი მარტო სატანჯველათ გაუჩენია».

— «შე სულელო! აქ რომ დაგდებულხარ და იზმორები, ვერ ხედავ, რა ამბავია, აი, იმ სვეში? კვიცანი ჭაკი ცხენი რომ სდგას, კვიცსა ჭუიდის-მეოქი».

სიხარულით ტუჩას თავბრუ დაესხა.

— «როგორ ჭუიდის? მკითხა უცებ ნერწყვ-მოსულმა მგელმა».

— «ფასი დედა მისს ნალზე აწერია», მივუგე მე.

— «რა აწერია?»

— «არ მშიოდა და არც შემიწუხებია თავი. თუ კითხვა იცი, გეშველა».

— როგორ არ ვიცი, მეტს რას მასწავლიდენ? თქვა მსუნაგმა და ცხენისკენ მოკურცხლა. მე ტუეში შევიმალე, სეირს ვუცდიდი.

— «მე დღეს კარგ გუნებაზე ვარ», ბრძანა ტუჩამ, მსუქან კვიცს რომ შეხედა.

«სწორეთ რომ ბედნიერი ვარ! რომ იცოდე, რა მოდგმისა არის?!» უთხრა ცხენმა.

— «ვისი შვილია?» ჭკითხა სულ-წასულმა.

— «განსვენებულმა მამა მისმა მის.» გვარი და ფასი ნალზე დამაწერა».

— «აბა მაჩვენე», მრისხანეთ თქვა მგელმა და დრუნჩი ქარაჩისკენ წასწია. ცხენმა გაუშალა წიხლი, სტალიცა შიგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუბლში და იქვე უსულოთ გააგორა. გამოვედი ტყიდან, წავავლე კუდში ჰირი, ჩავათრიე ხევში და ერთ კვირას «არალოს» ვიძახოდი.

— ასე ჩემო კარგო! მე გაგიზიარე უველა ჩემი ცოდო; ახლა ჩემ გულს შვება მიეცა და თავისუფლათ გამოვცხადდები სასახლეში.

— უველაზე სახიფათო ცოდო, ჩემო ბიძია, ეგ საზინის ამბავია, არ შეიძლება რომ ამ საზინის გამო არა ვევნოს-რა. მგონი გეშინიან კიდეც, არა?

— სრულიადაც არა, თქვა დამშვიდებით გარეწარმა და ფეხი გაიჩქარა ძმისწულთან ერთათ სახლისაკენ.

ალ. ნათაძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ბ ე ბ ი

ვოდევილი ერთ მოქმედებათ.

თარგმანი ან. ოცხელისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოქმედნი პირნი:

სალომე—სასტიკი დედაკაცი 50 წლის, დიდ ლურჯ სათვალებით.

მაროს, ნატოს — გიმნაზიის მოწაფენი, რომელნიც ცხოვრობენ სალომესთან.

ნინა, თამროს, სოლნა — გიმნაზიის მოწაფენი, მაროს და ნატოს ამხანაგები.

ქრისტინე—მოსამსახურე გოგო.

ივან ივანიჩ საშანოვი—მოხუცი კაცი, მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცენა წარმოადგენს დიდ ოთახს. მარჯვნივ დგას დიანი ბალიშებით, რგვალი სტოლი და საკარმიდამო. მარცხნივ, ფანჯრასთან დიდი სტოლი წიგნებით, რვეულებით, გლობუსით და სხ. სტოლთან სხედან მარო და ნატო და კაკვეთილებს ამზადებენ. ოთახს ორი კარი აქვს: ერთი პირდაპირ—სასლში შემოსავალი, მეორე მარცხნივ—სხვა ოთახებში გასავალი.

გამოსვლა 1

მარო, ნატო და სალომე.

სალომე. (შემოდის მეორე ოთახიდან თავ დასურული, ქოლგით, ხელში ერთი ფურცელი ქაღალდი უჭირავს). შეხედეთ ერთი, როგორ წყნარათა სხედან და მეცადინეობენ! დროა, ქალბატონებო, სიცელქეს თავი დაანებოთ (მიდის პირდაპირ კარებისაკენ). მე ნახევარ საათის შემდეგ დაებრუნდები; არ იცელქოთ, თორემ უსადილოთ დაგტოვებთ და ნაჩალნიკასთანაც დაგაბეზღებთ. თავი მომაბეზრეთ თქვენი ეშმაკობით. ქრისტინე! ქრისტინე!

გამოსვლა 2

იგინიენ და ქრისტინე.

სალომე. შენ ამათ ყური უკდე, რომ იმეცადინონ და არ იცელქონ, გესმის? თუ იეშმაკეს ან იყვირეს—მე მითხარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტინე. განა ამათ თავს მოუვა ადამიანი? კარებს ფეხს გა-
დაადგამთ თუ არა, ქალბატონო, ესენი მაშინვე აქაურობას აიკლებენ

მარო. სრულებითაც არა, ჩვენ ყოველთვის ჩუმათა ვართ.

ს. ლოგმე. ეიცი, როგორც ჩუმათ ხართ ხოლმე — ეიცი! აბა, ერ-
თი ქრისტინემ მითხრას, რომ თქვენ გაკვეთილები არ მოგიმზადე-
ბიათ და გიცელქნიათ! აბა ერთი გავიგო! მიფრთხილდით მაშინ!..
(ქრისტინეს) მართლა, აი რა გითხრა შენ: მეორე ბალკონზე, რომ
მეტი ოთახია, ის მინდა გავაქირაო. წაიღე, ქრისტინე, ეს ქაღალდი
(აძლევს) და ახლავე ჭიშკარზე მიაკარი, მაგრამ ახლავე გესმის! არ
გადააბრუნო-კი, იცოდე! (ქრისტინე მიდის). თქვენ კი, თუ ვინმე მო-
ვიდეს ოთახის საქირაოებლათ, თხოვეთ მომიცადოს. მე ჩქარა და-
ებრუნდები. გახსოვდეთ, რაც გითხარით (მიდის).

გამოსვლა 3

მარო და ნატო.

ნატო. (გაკვეთილს ამზადებს) „წინადადება არის ის, რასაც
სტუდიერად გამოთქვამ“ (იმეორებს რამოდენიმეჯერ).

მარო. „შესანიშნავი ქალაქებია: ნოვგოროდი, რომელიც არის
საოლქო, და რომელისაც მდინარე ვოლხი ორად ჰყოფს; ერთი ითვლება
საეპრო ქალაქათ და მეორე კი შესანიშნავია თავისი ისტორიული შე-
ნობებით, მაგალითად: კრემლი, წმ. სოფიოს ტაძარი და აგრეთვე ძეგ-
ლი, რომელიც წარმოადგენს რუსეთის 1000 წლის არსებობას.
(იმეორებს).

ნატო. „ქვემდებარე არის ის, რაზედაც ლაპარაკობ წინადადე-
ბაში“ (იმავე სმით ამბობს) გაიხედე ფანჯარაში, მარო, წავიდა თუ არა
ჩვენი ბებრუხანა. „ქვემდებარე არის ის რაზედაც ლაპარაკობ წინა-
დადებაში“ (იმეორებს).

მარო. (ისედებს ფანჯარაში) „შესანიშნავი ქალაქებია: ნოვგოროდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი, რომელიც საოლქო ქალაქია და რომელსაც მდინარე ეოლხი ორათ ჰყოფს“ (იმაგე სმით ამბობს): კარებთან აყუდებულა, ახლაეე გაიეელის ფანჯარასთან. „ერთი ითვლება საეაჭრო ქალაქათ და მეორეკი შესანიშნაეია თავისი ისტორიული შენობებით“.

ნატო. „ქეემდებარე არის ის რაზედაც ლაპარაკობ... წაეიდა?

მარო. წაეიდა. აი შეხედე როგორ მიექანება! უჰ, მომბეზრდა ეს გეოგრაფია.

ნატო. არა, გრამატიკა უფრო ძნელია. მანდ ყოელისფერი მაინც გესმის და აქ ეერაფერს ეერ გაიგებ. მოსაწყენია გრამატიკის სწაელა და თან ახლა კიდეც მეზარება. ჯანდაბას, ხეალ დილას გაეიმეორებ (სურავს წიგნს).

მარო. მაშ მეც ხეალისთეის გადავდებ. გეოგრაფია მაინც მეოთხე გაკეეთილი გეაქეს. ხელ-საქმის გაკეეთილზე მოეასწრებ გამეორებას... ო-ო-ხ! (გაიზმორება) მოდი ეზოში გაეიდეთ, ნატო, სათამაშოთ ჰა?

ნატო. ძრიელ კარგი! მხოლოთ ჩქარა, თორემ ჩეენი ბებრუხანა დაბრუნდება.

გამოსეელა 4

ნინა და თამრო შლაპებით; მარო და ნატო მიეგებებიან.

ყველანი. (ერთად) გამარჯობა! ახ, როგორ მიხარია, ნინა! რა ჭკეიანები ხართ, რომ შემოიარეთ! რა მოხარულნი ეართ. მოიხადეთ შლიაპები (კოტნიან ერთმანეთს, მოსულნი შლიაპებს იხდიან).

ნინა.
თამრო. } სალომე შინ არის?

ნატო. არა, წაეიდა!

ნინა.
თამრო. } ახ, რა ბედნიერებაა, რა კარგია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამრო. იცი, რისთვის შემოვიარეთ ჩვენ? ნინას ლაპარაკობდა, თუ რა გვაქვს გრამატიკიდან მოცემული, მეც კლასში არ ვყოფილ-ვარ და ახლა თქვენგან გვინდა შევიტყოთ.

ნატო. ახლავე გაჩვენებ. რა ძნელია! ღმერთო, რა ძნელია!! ვერაფერს ვერ გაიგებ, ვერა, რაღაცა წინადადებაო, ქვემდებარეო, ნაცვალ სახელიო... უჰ! (მიჭყაკს თამრო სტოლთან და აჩვენებს).

მარო. (ნინას) წერაში რამდენი მიიღე შენ? იცი, მე 4 მივიღე.

ნინა. მე სამი! თუმცა კარგათ დავწერე, მაგრამ...

ნატო. იცით რა? ახლავე ფუსტულისათვის გავგზავნი, მე მაქვს ერთი აბაზი, რომელიც საუზმეებისაგან დამრჩა, ქრისტინე! ქრისტინე! (იძახის მარცხენა კარებში) ქრისტინე!

გამოსვლა 5

იგინიეე და ქრისტინე; ფართუკით იწმენდს ხელებს.

ქრსიტ. აბა, რა გინდა, რისთვის მაცდენ! წიგნი ისწავლოთ ის გირჩევნიათ. ისევ ცელქობა დაიწყეთ?

ყველანი. არა, ქრისტინე! შენ ძრიელ გვიყვარხარ! შენ გენაცვალე, ქრისტინე, ამ ერთი აბაზის ფუსტული გვიყიდე, მხოლოთ მოხალული... თხილიც! მართლა თხილიც, თხილიც!

ქრისტ. აბა, რასაკვირველია, ახლავე წავალ, ახლავე გავიქცევი. თქვენ წიგნი იკითხოთ, ის გირჩევნიათ.

ყველანი. შენ გენაცვალე, ქრისტინე! ჩვენო კარგო, ოღონდ წადი და ჩვენ უკეთ ვისწავლით გაკვეთილებს, ღმერთმანი! ოღონდ წადი და შენც მოგცემთ ფუსტულს...

ქრისტ. რათ მინდა თქვენი ფუსტული. ვითამც მისი უნახავი ვიყო! თუ მომინდა, მე თითონაც ვიყიდი... მაგრამ რა გიყოთ, მოდი ისევ გიყიდით, თუ ჭკვიანათ იქნებით და არ იცელქებთ, თორემ მაშინვე ქალბატონთან დაგასმენთ, აი ამ პირჯვარის მაღლმა... (მიდის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა 6

ივინიეე ქრისტინეს გარდა.

თამრო. (დარბის ცალ-ფეხზე) ა-ტა-ტა ტა-ტა! ა-ტა-ტა-ტა-ტა-ტა! ახლა შინ არაფინ არის, მოდით ეიცეკვოთ! მე კავალერათ ეიქნები! (ხელს ჩაავლებს მაროს).

ნატო. მეც ეიცეკვებ! (ხელს აკვლებს ნინას; ტეკვენ) პოლკა, პოლკა! ტა-რა ტა! ტა-რა-ტა! ტრიმ-ტრა-რატა ტა; ტა, — ტა-ტა-ტა, ტრი-ტა-ტა!

მარო. მაზურკა სჯობია! მე ეიკავალერებ. მოითმინეთ, მე გაჩვენებთ, თუ როგორ ცეკვავს სტეფან პეტროვიჩი. არა, სჯობს როგორც ივან კონსტანტინოვიჩი!.. გახსოვთ იოლკაზე? (წაბაძავს და ტეკვავს ნინასთან; თამრ ა ნატოსთან). ტამ-ტამ, ტრი-რა-რა-რი-რიმ, ტამ, ტა-ტა-ტიმ-ტიმ!.. (რამოდენიმეჯერ შემოიკვლიან ოთახში.

ნატო. ოხ! დაეიღალე, ოხ! (ეტეცა სკვარძელზე)

თამრო. ოხ! აღარ შემიძლია! (ჯდება ნატოს გვერდით)

მარო. (ესეც ჯდება ტახტზე) უჰ! ოხ! (სიწყმეა).

თამრო. მართლა, დღეს მე გავიგე, რომ მალე არითმეტიკის გაკვეთილი დაგვეწყება. ამბობენ, ამ დღეებში ჩამოვა ახალი მასწავლებელი! მე-კი მეგონა, რომ მთელ თვეს კიდევ არ გვექნებოდა არითმეტიკის გაკვეთილი.

ნატო. აფსუს! ახლა მეტი გაკვეთილის დამზადება დაგვჭირდება! და ისეც თუ ბებრუხანა ვინმე ჩამოვიდა, ვინ იცის რა ბრაზიანი იქნება!

ნინა. მაშინ-კი სულ გაგვიმწარებს სიცოცხლეს.

მარო. შეიძლება ჯერ კიდევ არ ჩამოვიდეს.

თამრო. არა, ამბობენ ამ დღეებში ჩამოვალ. მოდი დავანებოთ თავი ამაზე ლაპარაკს და ისევ ვირბინოთ. ჯერ-მა სახლშიაც მომწყინდა, ახლა მაინც ვირბინო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატო. არა, დაეჭიროთ ეინმე! ნინა! ნინა!

ნინა. მაშ კარგი! (გაიქცევა, ,ას სხვები მისდევენ, ეკარიან; ნატო აიღებს ტასტიდან ერთ ბალიშს, მარო მეორეს და დაუწყებენ ერთმანეთს სროლას).

გამოსვლა 7

შემოდის საფოსნოელი, რომელსაც ერთი ბალიში შიგ თავში მოხვდება და ქუდი თავიდან გადუვარდება. მეორე—მოხვდება კისერში.

საფოსნოელი. (გაოცებული) ნება მომეცით გკითხოთ, ოთახს აქ აქირაებენ? (ბავშები ერთი მეორეს ეფარებიან და იმალებიან. სიჩუმეა). მგონია აქ აქირაებენ ოთახს? განცხადება წაეიკითხე თქვენ კარებზე.

ნატო. (სიცილს ძლივს იკავებს) დიახ, აქ.

მარო. გთხოვთ დაუცადოთ სალომეს, ამ სახლის პატრონს, ახლავე მოვა. (ჩუმათ იცინის)

ნატო. (ტასტზე მიუთითებს) დაბძანდით. ინებეთ გაზეთი..

საფოსნ. დიდი მადლობელი ვარ. მე ცოტა ხანს დავიცდი. დაღალულიც ვარ და შემეშინდა კიდეც. (დაჯდება სტოლთან და გაზეთს აიღებს).

მარო. (ჩუმათ) რომელმა ქარმა შემოაგდო, ეგ ოხერი! როგორ მხიარულათ ვიყავით! ნატო, რისთვის დატოვე აქ, მოდი გაგაგდე!

ნატო. (თამრეს ჩუმათ) არ შეიძლება, შენი ჭირიმე! ბებრუხანა ოთახს აქირაებს და დაგვიბარა, ვინც მოვიდეს ოთახის საქირა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამრო. (სმა მაღლა) მოდი თვალხუჭია ვითამაშ ით. ერთმანეთს სახოცით შეიხვიოს თვალი...

ნატო. }
ნინა. } ძრიელ კარგი, ძრიელ კარგი!

მარო. პირველათ ვინ აიხვევს თვალს?

გამოსვლა 8

იგინიეე და სონა.

ყველანი. ა-ა-ა-ა! სონა, გამარჯობა, რა კარგათ ჰქენი რომ მოხვედი, გაიხადე (კოცნიან).

სონა. (ადლაფუდის სმით) მე საგანგებოთ შემოვირბინე თქვენსა, რომ გაგაგებინოთ ახალი ამბავი და მერე როგორი! იცით რა? ჩამოსულა არითმეტიკის ახალი მასწავლებელი — შაფანოვი, სიფანოვი, ჩიფანოვი, თუ საფრანოვი, რა ვიცი, ღმერთმა დასწყეველოს და ხვალ კლასში იქნება.

ნატო. ეგ შეუძლებელი საქმეა!

თამრო. ნუ თუ კიდევაც ჩამოსულა?

სონა. ღმერთმანი, მართალს გეუბნებით: თითონ სოფიო ივანოვნამ მითხრა. ორი დღეა რაც ჩამოსულა.

მარო. როგორია ახალი მასწავლებელი? ახალგაზდაა, თუ არა?

ნინა. შაგერემანია, თუ ქერა?

სონა. ახ! რომ იცოდე, რა უშნო ყოფილა ახალი მასწავლებელი: ბებერი, თმა ტიტველა, პირისახე დაჩენჩილი, ხმა! - პი-პი-პი!

ნატო. ფუ! საძაგელი.

სონა. ამაზ გარდა შავი და გრძელი კბილები, ასე რომ როდესაც პირს გააღებს თურმე, გეგონება აგერ-აგერ პირიდან გამოუვარდება კბილებიო (სოფონოვი გაზეთს უკან კბილებს იშინჯავს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარო. ა-ა! ეს სწორეთ პირუტყვი ჩამოუყვანიათ სამხედროთ, თვის და შენ გიფიქრია, მასწავლებელი ჩამოვიდაო!

სონა. არ გამიწყრეს ღმერთი, მართალს გეუბნებით. იმასაც ამბობენ, ცხვირი ასე აქვს მოგრეხილიო (ჰჩვენებს. საფონოვიც სულს იკიდებს ცხვირზე).

მარო. მაშ დიდი განძი იქნება ჩვენი გიმნაზიისათვის, არა?

სონა. რა ავია თურმე და როგორ ძნელ გაკვეთილებს აძლევს მოწაფეებს!

ნატო. რალა გვეშველება ახლა?..

თამრო. (გაწუვეტინებს სიტყვას) თავი დაანებეთ მაგ ოხერ სიფონოვს. ნუ გეშინიათ, მოესწრებით იმის ნახვასაც. სჯობია, ისევ ვითამაშოთ.

მარო. მართლა, რას ვზიავართ, სალომე ხომ მალე მოვა. რა ვითამაშოთ ჰა?

ნატო. თვალხუჭია უკეთესია (მიუთითებს საფონოვზე).

ყველანი. ა-ა-ა-ა! ძრიელ კარგი. მოიტა, მოიტა სუფთა ხელსახოცი.

სონა. ეს რა საურთხულია (ჰჩვენებს საფონოვზე).

ნატო. (ჩუმათ) ეს ჩვენი ბებრუხანას მომავალი მდკმურია.

სონა. მოდი ეგეც ვათამაშოთ თვალხუჭია; მაინც ხომ ტყვილათ დევს ტახტზე.

ნინა. არ ისურვებს, თორემ...

თამრო. რაო?! არ ისურვებსო? ვნახოთ აბა! (მიირბენს საფონოვთან) იცით რა გითხრათ, ხომ მაინც უნდა იჯდეთ და უცადოთ ჩვენს ბებრუხანას... ეარა, მინდოდა მეთქვა სალომეს, მაშ მოდით და ჩვენთან თვალხუჭია ითამაშეთ, გესმისთ?

საფონოვი. დიდათ გმადლობთ, არ შემიძლიან.

ნატო. ეს ძრიელ ადვილი თამაშობაა: ერთს თვალს აუხვევთ და იმან სხვა უნდა დაიჭიროს.

საფანოვ. ჯერ ერთი რომ მე მოხუცებული ვარ და მერე აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათამაშოთ-კი არ მოესულვარ, საქირაეო ოთახის ნახვა მინდოდა.

სონა. რას ბრძანებთ, ნუ თუ სიარულიც არ შეგიძლიათ? მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის, როდესაც გთხოვენ, უნდა გაიგონოთ. (ამსანაგებს) იგონებს, მოხუცი ვარო!..

თამრო. მოიტანეთ ხელსახოცი, რადგანაც უარზე ხართ, თქვენ პირველათ აკიხვევთ თვალს და აბა დაგვიჭირეთ! (საფონოვი ეწინააღმდეგება, მაგრამ ძალით აუსვეკენ თვალს და თამაშობენ).

საფონოვი. (ხალხისკენ) რა ვუყო, მხიარული ბავშვები არიან, უნდა ვეთამაშო, მეტი გზა არა მაქვს... (ხელებს გაშლის და დასდევს. თამრო მალით შემოაკვლებს წრეს საფონოვის ზურგზე).

ნატო. (ანიშნებს ამსანაგებს რომ მარცხენა კარებში გადითო. უკვალნი მიბრძანს).

გამოსვლა 9

მარტო საფონოვი.

საფონოვ. (ბარბაცობს ოთახში, სან სტოლს ეკვეთება, სან დივანს ასე არ შეიძლება, რატომ არაფერს ამბობთ.

გამოსვლა 10

სალომე და მას უკან მოსდევს ქრისტინე.

საფონოვი. (სალომეს სტაცებს ხელს და დაიწყრს) ა-ა-ა-ა! ვერ წამიხვალთ ახლა, ვერ!

სალომე. (ქოდგას გაუგდებს ხელიდან) ვაიმე, მიშველეთ, მიშველეთ!

საფონოვი. (ხელსახოცს იხსნის). ღმერთო ჩემო, რა მდგომარეობაში ჩავარდი! ქალბატონო, თქვენ აქირაევებთ ოთახს? (სიჩუმე) ოთახს, ჩემთვის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალომე. (გაშტერებული) ოთახი თქვენთვის?! საგიქვ ... აქ, თუ როგორ არის შენი საქმე?

ქრისტ. წავიდე ენახო, სარეცხვი ხ

მ არავის წაუღია (მიდის).

სალომე. (უწყრება) ვინა ხართ თქვენ? როგორ გაბედეთ სხვის ოჯახში შემოსელა და ხალხის დაფეთება? ჰა? როგორ გაბედეთ ჩემისთანა პატიოსანი ქალის ხელის-შეხება?

საფონოვი. გთხოვეთ მომიტევოთ, ქალბატონო, ღმერთმანი, მე არაფერში ვარ დამნაშავე, თქვენი განცხადება წაეიკითხე და შემოვედი აქ ოთახის სანახავათ, თქვენ შინ არ ბრძანდებოდით. ბავშებმა მთხოვეს დამეცადა თქვენთვის და თქვენს ცდაში ჩამაციედენ თვალხუჭია გვეთამაშეო.

სალომე. ახ, ღმერთო ჩემო! მე-კი კინალამ გავგიჟდი. თქვენთვის მარტო ერთი ოთახია საჭირო? თუ გნებავთ ნახეთ...

საფონოვი. დიახ, მარტო ერთი ოთახია ჩემთვის საჭირო. კიდევ ბოდიშს ვიხდი თქვენთან, ქალბატონო!

გამოსვლა 12

შემოდიან ნატო და დანარჩენი ბავშები წყვილ-წყვილათ, წყნარათ. თამრო, ნინა და სონა (როდესაც სალომეს ახლოს გაუვლიან, რეკერანსს უკეთებენ და სალომეც თავს უკრავს მათ).

სალომე. (საფონოვს) ხედავთ, როგორ წყნარათ არიან, ეითომც არაფერი მომხდარა. ყოველთვის ასე ცელქობენ. წავალ სადმე თუ არა, მაშინვე აქაურობას აიკლებენ. (ბავშებს) რატომ წიგნს არა კითხულობთ? რათ მიგინებებიათ თავი მეცადინეობისათვის, ჰა?

ნატო. ჩვენ სულ ვმეცადინეობდით, მაგრამ ამ კაცმა...

მარო. (გაწყვეტინებს სიტყვას) შემოვიდა აქ თვალ-ახვეული და სულ დაგვაფეთა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამრო. ძრიელ შეგვეშინდა...

სონა. და გავიქეცით (სოფონოვი იცინის).

სალომე. დიახ, იმართლეთ თავი, იმართლეთ! (სოფონოვს) ესენი ყოველთვის მართალნი არიან! (ბავშვებს) შეშინდით? მაშ კარგი დამაცადეთ თქვენ... (სოფონოვს) წამოგრძანდით, ოთახი გაჩვენოთ. მართლა, თქვენ ვინა ბრძანდებით? მსახურობთ სადმე?

სოფონოვ. დიახ, და მხოლოთ გუშინ გიახელით. მე გახლავარ აქაური საქალებო გიმნაზიის მათემატიკის მასწავლებელი, ჩემი გვარია სოფონოვი.

სალომე. დიდათ სასიამოვნოა თქვენი გაცნობა...

ბავშვები. (ერთად) ახ! ღმერთო ჩემო! ეს რა დაგვემართა! (შიშისგან გაშტერებულნი ადგიდან ადგრ იმყოფებიან. სოფონოვი იცინის. ტოტსადი სურათი)

ფ ა რ დ ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა დედოფალი.

II

ასეთია კანონი

ეირონბიდან რომ დაბრუნდენ იმ წამსვე გერცოგის ქვრივი იმ ოთახებისკენ გაექანა, რომელიც მის სადგომათ იყო დანიშნული. საჩქაროთ მოიხსნა მოსასხმელი, შლიაპა და სწრაფათ გავარდა მდიდრულათ მორთულ სასტუმრო ოთახში და დაიწყო აქეთ-ი სიარული.

— ვინ მიწევს წინააღმდეგობას! პატარა გოგო! ღმერთო ჩემო! წარმოთქვა იმან გაბრაზებით.—ბავშვი, რომელიც მე გავზარდე! არა, არ მიეცემ ნებას! ვთქვათ კანონი ასეა... მაგრამ იქნება რამე მოვახერხო!.. დაუმატა გერცოგის ქვრივმა და გაჩუმდა.

რამდენსამე წამს შემდეგ დაუკრა ზარას და თვალის დახამხამებაზე მოსამსახურე ქალი წინ გამოეჭიმა.

— ერთ ერთ სეფე ქალს სთხოვეთ რომ ჩემთან მოვიდეს. უბძანა მან მოსამსახურეს.

ორ წუთს არ გაუელია, რომ გაიღო კარი და გამოჩნდა მაღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, კოხტა და ლამაზი სახე გრაფინია როზენბერგისა, რომლის და-ნახვაზე გერცოგის ქვრივს სახე მოეჭუხნა.

— არა, მე თქვენ არ გეძახით, თქვენთანაც მაქვს სალაპარაკო, მაგრამ ეს მერე იყოს. ახლა სხვა გამომიგზავნეთ ვინმე.

ყმაწვილ ქალს სიბრაზით ტანში გააჟრიალა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამს ისე გაბრუნდა. როდესაც კარი მესამეთ გაიღო და სხვა ქალი გამოჩნდა გერცოგის ქვრივმა იმას-კი გაუღიმა და საჩქაროთ წარმოთქვა:

— აა, ბარონესაე! თუ შეიძლება ახლავე დაიბარეთ ერთ-ერთი მსახური და გაგზავნეთ სახელმწიფოს პირველ მინისტრთან და შეუთვალეთ, რომ ძალიან საჭიროა საქმეზე მინდა მისი ნახვა და დიდათ დამავალებს თუ ორიოდ წუთით მნახავს.

— ამ წამშივე თქვენო ბრწყინვალებავ, — უპასუხა ბარონესამ, დაუკრა თავი და გავიდა. გერცოგის ქვრივი ისევ მიდი-მოდიოდა თავის მდიდრულ სასტუმრო ოთახში და თან მოუთმენლათ გაიძახოდა:

— ღმერთო ჩემო! რამდენს ხანს მალოდინებს ის კაცი!

ბოლოს გაიღო კარი და შემოვიდა პირველი მინისტრი.

— დიდათ გმადლობთ, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ შეასრულეთ ჩემი თხოვნა და მოგბრძანდით! მიმართა გერცოგის ქვრივმა პირველ მინისტრს.

— თქვენ ბრძანებას ასრულებს დიდის სამოვნებით ცარკოვის ყოველი მცხოვრები — დიდკაცებიდან დაწყებული უკანასკნელ მუშამდის, თქვენო ბრწყინვალებამ! უპასუხა მინისტრმა.

ასეთ ზრდილობიან პასუხზე გერცოგის ქვრივმა გაიღიმა, მაგრამ ეს ღიმილი რაღაც ძალ-დატანებითი იყო, თითქო შიშიც იხატებოდა მის სახეზე. — იქნება მინისტრის სიტყვებში რამე დაფარული აზრი იყოს! გაიფიქრა მან.

— დიდათ გმადლობთ პატივისცემ სთვის, თქვენო ბრწყინვალებავ! მიუგო გერცოგის ქვრივმა, მაგრამ განა მე რითი ვარ სხვაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი; მეც ისეთივე მსახური ვარ დედოფლისა, როგორც თქვენ. მართალია ის ჯერ ბავშვია...

— ცარკოვის მეფეებს არც ერთ დროს არ ეთქმით ბავშობა. შენიშნა მინისტრმა.

გერცოგის ქერივი შეკრთა.

— თქვენ გინდათ თქვათ რომ.. დაიწყო იმან.

— მე მინდა ვთქვა მხოლოთ ის, რაც კანონათ არის დადებული, გააწყვეტინა მინისტრმა — ცარკოვის მეფენი, რასაც წამს ტახტის მემკვიდრეთ ხდებიან — იმავე წამს სრული ნება აქვთ თვით მპყრობელობისა; წლოვანება არაფერს შუამია ცარკოვის სახელმწიფოს კანონით.

— აგრეთი ფართო ნება ეძლევა ბავშ-დედოფალსაც? შეჰკვირა გერცოგის ქერივმა. დავიჯერო ბავში შეძლებს თავის ნებაზე სამეფოს მართვას, ისე რომ არც გამოცდილი კაცების და არც ერთგული ქალების რჩევა ესაჭიროებოდეს?

მინისტრმა დაუკრა თავი და მიუგო:

— ასეთია კანონი, თქვენო ბრწყინვალეებავ.

— ეგ უსამართლო კანონია! გაბრაზებით შეჰკვირა გერცოგის ქერივმა და წამოხტა სკამიდან. მას სახე სიბრაზისაგან მთლათ გალურჯებული ჰქონდა.

— შეიძლება თქვენ მართალს ბრძანებდეთ, თქვენო ბრწყინვალებავ! ოდნავის ღიმილით, ცივათ უპასუხა მინისტრმა. მე ხომ არ გამომიცია ეგ კანონი, მე მხოლოთ ვცდილობდი უფრო გარკვევით ამეხსნა მაგ კანონის მნიშვნელობა.

გერცოგის ქერივმა გვერდზე მიიხედა, რომ მინისტრისთვის არ ეჩვენებინა თავისი შეშინებული სახე, მაგრამ მინისტრმა მაინც შეხედა.

— ხომ იცით რაც მოხდა დღეს? უცებ ჰკითხა გერცოგის ქერივმა.

— თუ იმაზე ბრძანებთ, რომ პალლა ბარბუცკს ჩამოხრჩობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი დედოფალმა, ეიცი, თქვენო ბრწყინვალებავ, მიამბეს. უპასუხა მინისტრმა.

— და როგორც მახსოვს, თქვენო ბრწყინვალებავ, მისი ჩამოხრჩობით დასჯა თქვენ თითონ დაამტკიცეთ, არა?

— მართალსა ბრძანებთ. ეგ საქმე ჩვეულებრივ გადაწყვეტილი, დასამტკიცებლად წარმოადგინეს ჩვენთან. მიუკო მინისტრმა.

— იმედია რომ საქმის წარმოების დროს ყოველისფერი გამოძიება მაგ საქმეზე წესიერათ მიდიოდა. უეჭველია ქალის სიკვდილით დასჯა სრულიად კანონიერი იქნებოდა არა, თქვენო ბრწყინვალებავ? დაეკითხა გერცოგის ქერიერი.

— ეჭვი არ არის, თქვენო ბრწყინვალებავ!

— დაეჯერო აგრე ადვილია იმ გადაწყვეტილების დარღვევა, რომელიც გადასწყვიტა სახელმწიფოს უფროსმა სამსჯავრომ და დაამტკიცა სამინისტრომ?

უფროსმა მინისტრმა მხრები აიწია და გაკვირვებით უპასუხა:

— ცარკოვის დედოფლის ნება ყოველ გადაწყვეტილებაზე და ყოველ კანონზე მაღლა დგას, თქვენო ბრწყინვალებავ!

— დიახ, ეგ უეჭველია, უპასუხა გერცოგის ქერიემა, რომელიც ძალიან ცდილობდა თავის სიბრაზე მინისტრთან არ გაემხილა. ის ჯერ გაშტერებით დააცქერდა მინისტრს და შემდეგ უთხრა: — მართლა მე მინდოდა თქვენთვის ერთი რამ მეკითხა. თქვენი აზრი ამ საქმეში ჩემთვის დიდათ საყურადღებოა.

— თქვენო ბრწყინვალებავ, მეტათ მაკვალებთ მაგ სიტყვებით. მძიმე თავის დაკვრით მოახსენა მინისტრმა.

— თქვენ, უეჭველია დამემიწმებით, რომ იმ დღიდან, რა დღესაც მე აქ მოვედი ჩემი უმთავრესი სურვილი იყო დედოფლის კეთილდღეობაზე და მის ქვეშევრდომებზე ზრუნვა.

მინისტრმა მძიმეთ თავი დაუკრა.

— ნება გვაქვს ჩვენ, თუ ცარკოვის სამეფოს სიკეთე გვინდა, ჯერ ისევ ბავშს დედოფალს გავაგებინოთ, რომ მაგისთანა დიდ უფლებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

აძლევს კანონი მას? შიშით დაეკითხა გერცოგის ქერიეი მინისტრს.

— ძალიან შესაძლებელია, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ ეგ უკეთესი იყოს, მაგრამ არა მგონია, რომ...

მინისტრმა სიტყვის თქმა ვეღარ მოასწრო, რადგან ამ დროს კარი გაიღო და შემოვიდა სეფე ქალი ბარონესსა.

— მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, დაიწყო ბარონესამ.

გერცოგის ქერიემა გაბრაზებით შეხედა ბარონესას და მკვახეთ ჰკითხა:

— რას ნიშნავს, თქვენი აქ შემოსვლა ჩემს უნებურათ?!

— მე გიახელით დედოფლის ბრძანებით, თქვენო ბრწყინვალებავ, თავ-დახრით მიუგო ბარონესამ,—დედოფალმა ინება, რომ მათი ბრწყინვალება მინისტრი ამ წამშივე გამოცხადდეს მათთან.

მინისტრი უცებ წამოხტა.

— იმედია თქვენი ბრწყინვალება ამ შემთხვევაში მაპატიებს, რომ ლაპარაკს გაწყვეტინებთ. წარმოთქვა მინისტრმა და საჩქაროთ გავიდა.

გერცოგის ქერიეს სიბრაზისაგან სახე დაემანჭა.

— გუშინ, არა დღეს დილასაც, ვერაფერ გაბედავდა, რომ ჩემთვის ასეთი შეურაცხება მოეყენებინა! მაგრამ იცოდენ ამას არ მოვითმენ, არაფრის გულისთვის... ის შეჩერდა და მაგრათ ჩამოჰკრა ზარს სამჯერ. რამდენიმე მოსამსახურე ქალი და კაცი შეშინებულები საჩქაროთ შემოცვივდენ.

— მოამზადეთ სამგზავრო სკივრები და ჩაალაგეთ ჩემი ბარგი, მე ამაღამვე მივდივარ—უბრძანა გერცოგის ქერიემა.—არა მე ამას არ დავთმობ—გაიმეორა მან, როგორც-კი მოსამსახურეები გავიდენ—როგორ ავიტან ასეთ დამცირებას დღეს, როდესაც გუშინ სახელმწიფოს მმართველი მე ვიყავ და თითქმის ვდედოფლობდი. არა, უნდა მოეშორდე აქაურობას—დაუმატა მან და დაუწყო თავის ოთახის მდიდარ მორთულობას თვალიერება, შეადარა თავის ძმის ცხოვრებას და გულმა კანკალი დაუწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ წაეედი რა მომელის ძმასთან, სილარიბე. შედარებით ამ ცხოვრებასთან იქ ჩემი ყოფნა რა იქნება? არა, ასე ადვილათ არ დავთმობ მეფობას—გადასწყვიტა მან და ჩამოკრა ზარას, რომლის ხმაზე ისევ წინ გამოეჭიმენ მოსამსახურენი.

— ჯერ დაიცადეთ ბარგის ჩალაგება, უბრძანა გერცოგის ქვრივმა, გაისტუმრა მოსამსა ურეები და თითონ ცოტა ხანს ჩაფიქრდა. შემდეგ, თითქო რამე მოაგონდაო, უცებ წამოხტა და გაეშურა დედოფლის ოთახისკენ. შესავალ კარებთან ისევ ის ყმაწვილი ქალი, ბარონესსა იჯდა, გერცოგის ქვრივის დანახვაზე იგი წამოდგა და ზრდილობიანი სალამი მისცა დედოფლის ბებიდას.

— მის უმაღლესობას ახლა დრო არა აქვს—წარმოთქვა ბარონესსამ,—მიბრძანა რომ არაევინ მივიღო.

გერცოგის ქვრივმა წარბ-შეკერით და ამაყათ უპასუხა:

— თქვენ ძალიან მეტი მოგდით! დედოფლის ბრძანება ყოველთვის უნდა მტკიცეთ აასრულოთ, მაგაზე არ გაგანტყუნებთ, მაგრამ აგრე არ უნდა ამლაშებდეთ თქვენ სამსახურს—ნუ გაეიწყდებათ, რომ დედოფალს მუდამ აქვს დრო ჩემთან ლაპარაკისათვის. გერცოგის ქვრივი პირ-და-პირ გაეშურა დედოფლის ოთახის კარებისკენ, მაგრამ ბარონესსამ მიასწრო და ჩადგა კარებში.

— გთხოვ, თქვენო ბრწყინვალებავ, მამიტევოთ—თავ-მდაბლათ წარმოთქვა მან. მე არ შემიძლიან მათი უმაღლესობის ბრძანების წინააღმდეგ წავიდე. დედოფალი ამ წამში მათ ბრწყინვალებას, უფროს მინისტრს ელაპარაკება საქმეზე და მიბრძანა არაევინ არ მივიღო, თქვენო ბრწყინვალებავ, არც თქვენ და არც სხვა ვინმე.

— თქვენ მგონია გაეიწყდებათ, ბარონესსავ, ვინა ხართ თქვენ და ვინა ვარ მე!—წარმოთქვა გაბრაზებით გერცოგის ქვრივმა—ეგ ბრიყვული ქალია იაფათ არ დაგიჯდებათ იცოდეთ—დაუმატა მან თვალების ბრიალით და შეაღო დედოფლის ოთახის კარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

ახალი კანონი.

უფროსი მინისტრი გამოვიდა თუ არა გერცოგის ქერიეის ოთახიდან გაეშურა დედოფლის სადგომ ოთახებისაკენ და წყნარათ შეაღო კარი. ნასკა გადაწოლილიყო დიდ ძვირფას საეარ-ძელში, მის სუსტს გამხმარ სახეზე ცხადათ იხატებოდა თუ რა დიდი გავლენა ჰქონდა მაზე მეიდანზე მომხდარ დღეანდელ ამ-ბავს. წინეთ ყველთვის მისი თვალები მშვიდათ გამოიყურებოდა ხოლმე, ის თითქო არასფერს გრძნობდა, თითქო ყველაფერი ერთი იყო მისთვის, ავიც და კარგიც. ახლა-კი ტუჩები მოეკუმა, თვალები უბრწყინავდა და სახე აწითლებოდა. მინისტრის დანახვაზე ნასკა გასწორდა, ამაყი და მშვიდი გამომეტყველება მიიღო, მაგრამ ხმა-კი უკანკალებდა:

— თქვენ გაიგეთ დღეანდელი ამბავი? წამოიძახა დედოფალმა— იცით რომ დღეს დედაკაცის ჩამოხრჩობას აპირებდენ! _დედაკაცის ჩა-მოხრჩობას!

— გავიგე, თქვენო უმაღლესობავ—უპასუხა მინისტრმა და თავი დაუკრა.

— ამბობენ რომ თურმე ჩემის ბრძანებით ახრჩობდენ დღეს იმ ქალს. მე მაჩვენეს ქაღალდი, რომელიც ჩემი ხელ-მოწერილი იყო.

— დიახ, იმ დედაკაცის განჩინების ქაღალდს თქვენი უმაღლე-სობის ხელი ეწერა. სახელმწიფო გადაწყვეტილების ქაღალდებს ყვე-ლას უეჭველათ თქვენი სახელი უნდა ეწეროს. მე თითონ..

— მე მოვაწერე ხელი? შეჰყვირა პატარა დედოფალმა,—მე? უი-მე, რას ამბობთ! არა, არა და არა.

— გარწმუნებთ, თქვენო უმაღლესობავ, რომ მაგ საქმეში უკა-ნონობა არაფერი ყოფილა, უპასუხა მინისტრმა,—მე თითონ ვნახე როდესაც თქვენ ხელს აწერდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ ნახეთ? წარმოთქვა საყვედურის კილოთი ნასკამ და შიშით დააცქერდა მინისტრს.—თქვენ ნახეთ, რომ მაგისთანა საშინელ ქალალდს ხელს ეაწერდი და არ ამიხსენით ქალალდის შინაარსი?

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. დედოფალი გაშტერებით უცქეროდა მინისტრს, რომელსაც ველარ მოეხერხებინა პასუხის მიცემა. ბოლოს ისევ ნასკამ დაიწყო, მაგრამ ისეთი ხმით, რომელიც სრულიად შეუფერებელი იყო თერთმეტი წლის ბავშისათვის.

— ეგ ძალიან ცუდათ მოგსველიათ, თქვენო ბრწყინვალებავ,— უთხრა იმან— ძალიან ცუდათ! თქვენი მოვალეობა იყო, რომ გაგეფრთხილებინეთ.

— მაგრამ, თქვენო უმაღლესობავ, არას დროს არა კითხულობდით ხოლმე იმ ქალალდების შინაარსს, რომელსაც ხელს აწერდით. იმართლებდა თავს მინისტრი.

— მართალია, მართალი, მეც დამნაშავე ვარ. უნდა წამეკითხა ხოლმე!—სასოწარკვეთილებით წარმოთქვა დედოფალმა. და მერე თითქო დაავიწყდა, რომ მინისტრი იქ იყო, თავისთვის წაილაპარაკა: —მე ნომ არ ვიცოდი რომ ცარკოვში ასეთი საშინელი ამბები ხდებოდა. ერთიც ვნახოთ მეიდანთან არ გამეელო, ან ცოტა დამეგვიანა! ოხ, მაცხოვარო მხსნელო, რა მრავალ მოწყალე ხარ, რომ სწორეთ იმ დროს გამატარე იქ! გმადლობ უფალო, რომ მომეც ლონისძიება, რათა პატარა ბავშვისთვის დამებრუნებინა დედა.

მინისტრი გაჩუმებული შესცქეროდა დედოფალს და არას ამბობდა.

— მითხარით, უცებ დაეკითხა ნასკა მინისტრს—წინეთ მომიწერია როდისმე მაგნაირ ქალალდებზე ხელი? დასაჯეთ ვინმე... სიკვდილით... მას შემდეგ რაც დედოფლათ ვარ?

მინისტრი ცდილობდა სწორე პასუხი არ მიეცა.

— ყოველ განათლებულ სახელმწიფოში არსებობს სიკვდილით დასჯის კანონი, თქვენო უმაღლესობავ, გაუბედავათ უპასუხა მინისტრმა — კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცობრიობის საქმე ასეა, ყველგან ხდება მკვლელობა, ყველგან არის სიკვდილით დასჯა და კანონი.

— რამდენი წელიწადია, რაც სახელმწიფო ქალალდებს ხელს ვაწერ? დაეკითხა ნასკა.

— რამდენი წელიწადი? ქალალდებს ხელს აწერთ იმ დღიდან, თქვენო უმაღლესობავ, რა დღესაც თქვენი სახელის წერა ისწავლეთ და რადგან თქვენ ძალიან ნიჭიერი იყავით, მეტის მეტათ ნიჭიერი, ამიტომ ძალიან ადრე დაიწყეთ წერა...

— რამდენი წლისა ვიყავი, როდესაც დავიწყე ქალალდებზე ხელის მოწერა? მოუთმენლათ გააწყვეტინა ნასკამ, რალაც უცნაური ვითომ დამშვიდებულის ხმით.

— ნება მომეცით მოვიგონო! წარმოთქვა მინისტრმა და საეარძელს ზურგი მიჰყუდა. ის ცოტა ხანს დაფიქრდა.—რამდენი წლისა ბრძანდებოდა მაშინ, თქვენი უმაღლესობა? წარმოთქვა ცოტა სიჩუმის შემდეგ მინისტრმა —ოთხი წლისაზე მეტი არ იქნებოდით, მე ხომ მოგახსენეთ, რომ მეტის მეტი ნიჭიერი ბრძანდებოდით.

— ოთხის წლისა! ახლა მე თერთმეტისა ვარ. ამ შვიდ წელიწადში დასაჯეთ ვინმე სიკვდილით? ნასკა დაშტერებით აცქერდებოდა მინისტრს, დამშვიდებით-კი ლაპარაკობდა.

— მეტათ მოუსვენარი წელიწადები იყო, თქვენო უმაღლესობავ, ეს უკანასკნელი შვიდი წელიწადი —თავდაჭერით უპასუხა მინისტრმა—როდესაც სამეფო ტახტზე მცირე წლოვანი ხელმწიფე ადის, ყოველთვის სახელმწიფოში არეულობა მეტია. პრინცი ბორისი, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, თქვენი მემკვიდრეა და იმას ძალიან ბევრი მეგობრები ჰყავს. ისინი ცდილობდენ თქვენს მაგიერ პრინცი დაესვათ ცარკოვის სამეფო ტახტზე, მაგრამ ეს იმათ ვერ მოახერხეს ღენერალ რადიცკის სამაგალითო შორს-მჭვრეტელობის წყალობით. რასაკვირველია, სხვა თქვენი ქვეშევრდომებიც ეხმარებოდენ ამაში, თუმცა-კი ამის თქმა ჩემგან... მინისტრი შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩერდა და მორცხვათ თავი დაუკრა დედოფალს, რომელმაც ისარგებლა მისი გაჩუმებით და ხელ-მეორეთ დაეკითხა:

— დასაჯეთ ვინმე სიკვდილით ამ შვიდ წელიწადში თუ არა?

— დიახ, თქვენო უამაღლესობავ, უპასუხა მინისტრმა — ამისთანა არეულობა ყოველად შეუძლებელი იყო ისე გაგვეტარებინა, რომ რამდენიმე მაინც სიკვდილით არ დაგვესაჯა.

საცოდავ პატარა დედოფალს გული მოუკლა ამ პასუხმა.

— მაინც რამდენი? დაეკითხა ნასკა მინისტრს აღელვებულის ხმით.

— რამდენი დაისაჯა ამ შვიდ წელიწადში სიკვდილით? მე დანამდვილებით არ მახსოვს, თქვენო უმაღლესობავ, სწორე მოგახსენო...

— დაახლოებით რამდენი იქნება? იქნება წელიწადში თითო მაინც? წაილაპარაკა ნასკამ და შიშით დააცქერდა მინისტრს.

— წელიწადში თითო? გაიმეორა მინისტრმა და დაფიქრდა — შეიძლება აგრე იყოს, დიახ, თქვენო უმაღლესობავ, სწორეთ აგრე იქნება. გულში-კი ფიქრობდა: „მგონი რომ წელიწადში ათზედაც მეტი იხოცებოდაო“.

ნასკა გაფითრდა, ტუჩებს კენეტა დაუწყო, რაც ძალა ჰქონდა ხელებს უჭერდა საკარძელს, რომელზედაც იჯდა, ბოლოს ტუჩებზე სისხლიც გადმოუვიდა, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა და შეჰყვირა:

— ოხ, მაცხოვარო! შვიდი, შვიდი კაცია მოკლული ჩემგან! უეჭველია, იმ საცოდავებს ყველასა ჰყავდათ პატარა შვილები, რომლებსაც ისე ენატრებოდათ თავისი მშობლების სიცოცხლე. პატარა დედოფალი გადაწყვა ბალიშებზე და მწარე ქვითინი ამოსკდა გულიდან. მინისტრს არ იცოდა რა ექნა.

— თქვენ რა დანაშაული ხართ, თქვენო უდიდებულესობავ, დასამშვიდებლათ მიმართა მინისტრმა — თქვენ მხოლოთ...

ნასკა საჩქაროთ წამოდგა და მოიწმინდა თვალებიდან ცრემლები.

— მე ძალიან პატარა ვიყავი და არაფერი ვიცოდი, წაილაპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკა იმან.—იქნება ღმერთმა შემიბრალოს და მაპატიოს, ... ახლა-კი მე ვიცი! ის მიუბრუნდა მინისტრს და მტკიცეთ, თითქმის ბრძანებით უთხრა:

— დღეიდან ცარკოვში სიკვდილით დასჯა არას დროს აღარ იქნება.

— კაცის მკვლელებს და სხვა მძიმე დამნაშავეებს რა სასჯელს მიესცემთ, თქვენო უდიდებულესობავ?

— არც კაცის მკვლელთ და არც სხვებს, არავის—დაბეჯითებით გაიმეორა ნასკამ.—მე ხელს არ მოვაწერ... და საშინელმა ხველამ არ დააცალა რომ დაესრულებინა სიტყვა.

— ხალხი რომ დღეს მიყვიროდა ჰაპაუსკაო, რას ნიშნავს ეს სიტყვა? იკითხა ბოლოს ნასკამ.

მინისტრი ცოტას დაფიქრდა და შემდეგ თავდახრით უპასუხა:

— ეგ იმას ნიშნავს, თქვენო უდიდებულესობავ, რომ დღეიდან მთელი ცარკოვის ხალხი და მათი საქმეების მართვა-გამგეობა თქვენს ხელშია, დღეიდან ჩვენ ყველა თქვენს ბრძანებას ვასრულებთ.

ნასკას სახეზე იმედის მაგიერ შიში გამოიხატა და სიხარულის მაგიერ მწუხარება.

— მძიმე მოვალეობა გაწვევათ თავს დღეიდან, თქვენო უდიდებულესობავ, განიმეორა მედიდურათ მინისტრმა.—მაგრამ თქვენს უდიდებულესობას შიში ნუ ექნება: ჩვენ...

— დედოფალს არაფრისა უნდა ეშინოდეს,—ამაყათ წარმოთქვა ნასკამ და გასწორდა.—ამას გარდა მე იმედი მაქვს რომ ჩემი ღმერთი არ დამტოვებს მე და ხელს მომიმართავს. თქვენ თავადო, თქვენც ხომ ხელს მომიმართავთ და არ დამტოვებთ?

— თქვენო უდიდებულესობავ, მხოლოთ მიბრძანეთ და მე მზათა ვარ.

— მაშ, აი რასა გთხოვთ—ბავშურის აღტაცებით წარმოთქვა პატარა დედოფალმა—ახლავე, ამ წამშივე გამოეცი კანონი, რომლის ძალითაც ცარკოვში სიკვდილით დასჯა აკრძალული იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დასწერეთ ეს ისეთი ცხადათ, გარკვევით, რომ თავის დღეში ალარ შეიძლებოდეს მისი გამოცვლა.

— მე ნება არა მაქვს ახალი კანონის გამოცემისა, თქვენო უდიდებულესობავ, — უპასუხა მინისტრმა. — ახალ კანონს ჯერ ორი სამსჯავრო შინჯავს და შემდეგ სამინისტრო ამტკიცებს. ამას გარდა სეინიდისი ნებას არ მაძლევს დაგეთანხმოთ მაგისთანა კანონის გამოცემაში.

— თქვენ-კი ამბობდით რომ მოვალე ხართ ჩემი ბრძანება აასრულოთ!

— დიახ მოვალე ვარ, როგორც თქვენი მონა-მოსამსახურე, მაგრამ ამასთანავე, როგორც შინაგან საქმის მინისტრი, მოვალე ვარ გირჩიოთ ის, რაც თქვენთვის და თქვენი სახელმწიფოსათვის სასარგებლო იქნება და...

— მაშ არ გინდათ აასრულოთ ჩემი სიტყვა? არ გამოსცემთ ახალ კანონს?

— გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ, ნუ მიბრძანებთ მაგას! გარწმუნებთ, რომ მაგისთანა ახალი კანონი, არამც თუ სარგებლობას მოუტანს თქვენს ხალხს, არამედ დალუპავს კიდეც. ისეთი გაუნათლებელი და მხეცი ხალხი ახვევია თქვენს სახელმწიფოს, რომ თუ სიკვდილით დასჯის შიში არა ჰქონდეთ სულ აიკლებდენ მთელ თქვენ ქვეშევრდომებს. ამას გარდა ჩვენ მეტათ ბევრი მტერი გვყავს, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენ სახელმწიფოშიაც და მის გარეთაც; პრინცი ბორისის მომხრენი, მეზობელი სახელმწიფონი და ავაზაკთა ბრბო, რომლებიც მთაში სცხოვრობენ, იმას ელიან, რომ მიზეზი რამ იპოვონ და მაშინვე თავს დაგვესხან. მე წელანაც მოვახსენე თქვენს უდიდებულესობას, რომ თუ ღენერალი რადიცკის სამაგალითო სამხედრო ნიჭი არა, სხვაფრივ ცუდათ იქნებოდა ჩვენი ქვეყნის საქმე.

— ჩვენ ყოველთვის სიმართლის მოკვრე უნდა ვიყოთ, საზარალო იქნება ეს თუ სასარგებლო, სულ ერთია — მტკიცეთ უპასუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხა დედოფალმა—მანამ მე ბაბიუსკა ვარ ნებას არავის მიეცემ, რომ სიკვდილით ეინმე დაისაჯოს.

— მაშ, თქვენო უდიდებულესობავ, გთხოვთ გამანთავისუფლოთ, მაგ პირობით მე ვერ შეეძლებ თქვენ სამსახურს. ისეთივე სიმტკიცით უპასუხა მინისტრმა.

— ჩანს თქვენ უარს მეუბნებით ჩემ თხოვნაზე! მე, დედოფალს არაფრის გაკეთება არ შემიძლიან?

— თქვენ შეგიძლიანთ ცარკოეიდან გამაგდოთ, თქვენო უდიდებულესობავ, შეგიძლიანთ ციხეში ჩამამწყვდიოთ—უპასუხა მინისტრმა—წამართვათ რაც საცხოვრებელი მაქვს, მაგრამ...

— არა, მე მაგას არ ვიქ, გააწყვეტინა ნასკამ.—მე მგონია, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ სვინდისიერათ იქცევით. მაგრამ რა ექნა რომ ყველა ძალიან მეცოდება, ყველა. მე გულით მინდა... ეს რას ნიშნავს?

მთიდან, რაღაც გრიალი მოისმა, ქუხილის-მაგვარი. ნასკამ ცას შეხედა და ღრუბელი ვერ დაინახა; ამ დროს კიდევ დაიგრიალა, უფრო ახლოს, უფრო ძლიერათ. მინისტრი წამოხტა და ფანჯარაში გაიხედა, უცებ მისი სახე განათდა, გამხიარულდა.

— ხედავთ!! ალტაცებით წარმოთქვა მინისტრმა—ღმერთს გეფიცებით, უეჭველათ იპოვეს იმისი ბუნაგი! რა მოხერხებით მოიქცნენ! რა ყოჩაღია ეს ჩვენი რადიკი!!

— რას ნიშნავს არ მეტყვით? ჰკითხა დედოფალმა, რომელიც ახლოს მივიდა ფანჯარასთან და გაოცებით გაიცქირებოდა მთის მხარეს.

— თქვენო უდიდებულესობავ, შეჰყვირა მინისტრმა. ნუ თუ არ გესმით რაშია საქმე? იცით რომ თქვენი ჯარის-კაცები ომობენ და ეს ხმა იქიდან მოდის! პრასკების უფროსის ბარბუცკის ბინას მიაგნეს და იქ მოიმწყვდიეს! პრასკები, უეჭველია თავ გამოდებით ომობენ, მაგრამ რადიკის რა გაუმაგრდება, ის მისცემთ იმათ სიცხეს! შეხედეთ, დედოფალო, აი, იქ, მთის შუა გულში, როგორ ბრწყი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავს თქვენი გვარდიის ჯარის კაცების ქუდები! აი, კიდევ!.. და ისევ გაისმა გრიალი.

ახლა-კი მიხვდა ნასკა რომ ეს თოფების ხმა იყო.

— რა არის ეს... აბა რა საჭიროა? გაუბედავათ იკითხა დედოფალმა და შიშით გულმა კანკალი დაუწყო.

— ნუ თუ ვერ მიხვდით, თქვენო უდიდებულესობავ? აღტაცებით წარმოთქვა მინისტრმა. აქამდ ს ყოველ ღონისძიებას ეხმაროობდით და ბარბუცკის ბინას ვერსად მივაგენით და ახლა-კი... ღმერთო ჩემო, სრულიად დამავიწყდა, რომ ეს გამარჯვება თქვენი მოწყალებით მოხდა. თამამათ შეგიძლიათ თქვათ რომ თქვენი დაჭერილია დღეს ბარბუცკი!

— ჩემი? გაკვირვებით დაეკითხა დედოფალი.

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ. უპასუხა სიხარულით მინისტრმა.— თქვენ რომ ბარბუცკის ცოლი არ გაგეშვათ ჩვენ თავის დღეში ვერ ეიპოვიდით მის ქმარს.

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ იმ ქალმა, ესე იგი ბარბუცკის ცოლმა, თითონ აჩვენა ქმრის ბინა? გულის კანკალით დაეკითხა ნასკა:

— რალა თქმა უნდა თითონ არ უჩვენებია, თქვენო უდიდებულესობავ! სიამოვნებით უპასუხა მინისტრმა.—როდესაც თქვენ ის დედაკაცი გაგიგზავნეთ ის პირ-და-პირ თავის ქმართან წავიდა. აქედან დაადევნეს მეძებარი ძაღლები და... ოხ კიდევ სროლა! საკვირველი ნიჭიერი კაცია ეს რადიკალი! და მინისტრმა გულმოდგინეთ დაიწყო ფანჯარაში ცქერა იქით მხარისკენ, საიდანაც სროლა მოდიოდა.

— სჩანს პატარა ბავშვი და მისი დედა ძალაუნებურათ პატრონის გამცემი და მოღალატე გახადეს? იკითხა დედოფალმა. მინისტრი ფანჯარაში იყურებოდა და ვერ ამჩნევდა დედოფლის აღელვებას, რომელსაც ფერი წასელოდა და ხელები უკანკალებდა.

— დიახ, - უპასუხა მინისტრმა, რომელიც ისევ ფანჯარაში იც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქირებოდა.—დიახ, სწორეთ აგრე გახლავთ... ერთი შეხედეთ, თქვენო უდიდებულესობავ, შეხედეთ!

— ოხ, ღმერთო! რა საძაგლათ მოექცნენ იმ საცოდაეებს, რა უსამართლოთ! მე ნებას არ მიეცემ!

მხოლოთ ახლა მოიხედა მინისტრმა და შენიშნა, რომ დედოფალი სახე გაფითრებული დაჰყურებოდა ფანჯრის წინა ფიცარს, მთლათ კანკალებდა, თვალებს გაბრაზებით აბრიალებდა.

— თქვენო უდიდებულესობავ!.. გაოცებით დაიწყო მინისტრმა.

— ომი უნდა შეაჩეროთ ახლავე, ამ წამში! ცხარეთ წარმოთქვა ნასკამ.

— შეეაჩეროთ, თქვენო უდიდებულესობავ?! ბრძოლა შეეაჩეროთ! რანაირათ.

— გაგზავნეთ ეინმე, მოახერხეთ რამე, მხოლოთ ჩქარა, ჩქარა!

— არაფერი არ გამოვა, თქვენო უდიდებულესობავ, ციეათ უპასუხა მინისტრმა, რომელიც ეერ მალავდა თავის უსიამოვნობას.

— ომი მანამ გათავდება, სანამ აქედან გაგზავნილი კაცი იქ მიეიდოდეს. ამას გარდა ..

— დავიჯერო აღარაფერი შეიძლება! სასოწარკვეთილებით შეჰყვირა დედოფალმა, დაიფარა თვალებზე ხელი და საყარძელში ჩაესვენა.

— მომიტეეეთ, თქვენო უდიდებულესობავ, თავმდაბლათ უპასუხა მინისტრმა,—მე მგონია თქვენ სწორეთ ეერა სჯით ამ საქმეს. ამ წამში თქვენი ჯარის-კაცები, იმას გარდა რომ სამშობლოს დიდ სამსახურს უწეეენ, თავის სიცოცხლესაც მასვე სწირავენ. პრასკები, მართლა ყაჩაღების ბრბო-კი არ არის, ისინი არიან გულადი მეომარნი, თავისუფალი, უბატონო და ამიტომ ცარკოვის ხელმწიფენი ყოველთვის ცდილობდენ მათ დამორჩილებას, მაგრამ აქამდის ეერ შესძლეს. ბარბუცკი...

— თქვენ გავიწყდებათ, რომ მოტყუებით ცოლს ქმარი და შვილს მამა მიაცემინეს მტრის ხელთ! ზიზღით შეჰყვირა დედოფალმა, — ოჰ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უსამართლობაა! რა უადამიანობაა! იცოდეთ რომ თუ ამ კაცს დაიჭერენ მე ნებას არ მივცემ, რომ ჩამოახრჩონ! იცოდეთ იმ წამსვე გავათავისუფლებ!

— მაშ, თქვენო უდიდებულესობავ, გთხოეთ დამითხოეთ სამსახურიდან,— მტკიცეთ მიუგო მინისტრმა.

ამ დროს კარი გაიღო და გერცოგის ქერიეი შემოვიდა, რომლის მოლუშული სახე გაბრაზებით გამოიყურებოდა.

— მართლა თქვენი უდიდებულესობის ბრძანებით არ მიშვებდენ აქა? დაეკითხა გერცოგის ქერიეი დედოფალს.

— ახლა შეგიძლიანთ დარჩეთ. ციეათ უპასუხა ნასკამ.

— მაშ მე ახლა ხომ დათხოვნილი ვარ, თქვენო უდიდებულესობავ? დაეკითხა მინისტრი და დააცქერდა დედოფალს.

ნასკამ ხმა არ გასცა. ის მოსხლეტით გადაესვენა ბალიშზე და თითქო ალარა ესმოდა-რა, მისი თვალები გაშტერებით გაიყურებოდა მთისკენ. მინისტრმა მძიმეთ დაუკრა თავი, კიდეე დააშტერდა და, როდესაც შენიშნა რომ ნასკა ყურს არ უგდებდა, კარებისკენ გაემართა. გერცოგის ქერიეს რომ მიუახლოვდა, დაცინვით შეხედა და უთხრა:

— მშვიდობით, თქვენო ბრწყინვალებავ, როგორც ეხედავ დიდიხნით ეშორდებით ერთმანეთს. მე მგონია დალაკასსის ჰაერი თქვენთვის საზარალო იქნება.

დალაკასსისში ცხოვრობდა პრინცი ბორისი, რომელსაც ჭირიეით ეჯაერებოდა გერცოგის ქერიეი.

ს. ციციშვილი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილომელა და პროკნა.

ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲐᲗᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲞᲐᲜᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲔᲑᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲛᲢᲧᲓᲐᲠᲘ ᲝᲛᲘ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲙᲘᲓᲠᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲐᲚᲔᲑᲚᲐᲗ ᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲓᲐ. ᲝᲛᲘ ᲗᲔᲑᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲜᲓᲘᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲘᲜᲐ ᲤᲠᲐᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲢᲔᲠᲔᲘᲡ. ᲐᲗᲘᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲢᲔᲠᲔᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲖᲔ ᲛᲝᲡᲔᲣᲚᲘ ᲛᲢᲔᲠᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲡ. ᲞᲐᲜᲓᲘᲝᲜᲛᲐ ᲜᲘᲨᲜᲐᲗ ᲦᲠᲛᲐ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲢᲔᲠᲔᲘᲡ ᲛᲘᲐᲗᲮᲝᲕᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲙᲜᲐ. ᲐᲗᲘᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲐᲛᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲦᲢᲐᲪᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲮᲐᲓᲔᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ. ᲢᲔᲠᲔᲘᲛ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲙᲜᲐᲛ ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲔᲡ ᲦᲛᲔᲠᲗᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲤᲠᲐᲙᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲜ.

ᲐᲮᲚᲐᲗ ᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲤᲔ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ ᲤᲠᲐᲙᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲐᲦᲢᲐᲪᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ. ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲛᲙᲘᲓᲠᲗᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲐᲠᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲢᲔᲠᲔᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲙᲜᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲐᲗ ᲡᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲔᲜ. ᲐᲮᲚᲐᲗ ᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲗ-ᲔᲠᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲐᲠ ᲨᲔᲚᲐᲮᲣᲚᲐ, ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲐᲠ ᲨᲔᲠᲧᲔᲣᲚᲐ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხანია პროკნას თავისი სამშობლო ქვეყანა არ ეწახა, ... დი ხანია, რაც იგი თავის მოხუც მშობელ მამას და საყვარელ დას ფილომელას მოშორდა. პროკნას სამშობლო ქვეყნის და საყვარელი მშობლების ნახვის სურვილი დღითი-დღე უფრო და უფრო უძლიერდებოდა.

პროკნამ გულმხურვალეთ შეთხოვა ტერეის, სამშობლოში გამისტუმრეო. მეფემ სხვა-და-სხვა საპატიო მიზეზების ჩამოთვლით დაარწმუნა დედოფალი, რომ მისი ამ ქალათ შორეულ სამშობლოში და ისიც ზღვით გასტუმრება, მოუხერხებელი იყო. მხოლოთ რომ დედოფალი უფრო დამშვიდებულიყო და მშობლების უნახაობით მწუხარება არ დასჩემებოდა, ტერეიმ აღუთქვა დედოფალს ფილომელას მოგგვრი სულ მოკლე ხანში ფრაკიაშიო.

ტერეი, მართლაც, რამდენის-მე დღის შემდეგ ზღვის აზვირთებულ ტალღებს შუა აპობდა და მიეშურებოდა თავის სიმამრის სამეფოსაკენ. პანდიონი და ფილომელა დიდი სიხარულით შეეგებენ საყვარელ სიძეს. ტერეიმ ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ გამოუცხადა მოხუცებულ პანდიონს პროკნას სურვილი ფილომელას ფრაკიაში წაყვანის შესახებ. პანდიონ-სათვის მეტათ საგრძნობელი იყო, განსაკუთრებით ამ სიბერის დროს, ფილომელას მოშორება, მაგრამ ტერეის და პროკნას მუდარებითი თხოვნას წინ ვერ აღუდგა. პანდიონმა ლოცვა-კურთხევით გაისტუმრა სიძე და მთელ სახელმწიფოში სილამაზით სახელ-განთქმული ქალი ფილომელა. მოხუცი მამა თვალ-ცრემლიანი ემუდარებოდა სიძეს გაფრთხილებით მოპყრობოდა მის საყვარელ ქალს და, რაც შეიძლება მოკლე ხანში, უკანვე სამშობლოში დაებრუნებინა.

საამური ზღვის ნიავი მოგზაურთ გამალებით მიაქროლებდა ფრაკიისაკენ. ფილომელას მთელი არსება ზღვის სიმშვენიერით სტკბებოდა, მას სილამაზით მომხიბლელი სახე ერთი ორათ უბრწყინვალდებოდა. ტერეი ფილომელას დიდებული სახის სიმშვენიერით ერთიანათ იხიბლებოდა. ფრაკიის მეფე მთელი გზა ახლა იმის ფიქრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში იყო, რომ ამ მშვენიერებათა მშვენიერებას კანონიერათ შეულ-ლებოდა, მაგრამ ამ განზრახვის გამჟღავნებას ფილომელას ვერ უბედავდა.

რამდენისამე დღის მოკზაურობის შემდეგ ნავმა ფრაკიის ნაპირებს მიატანა. ყველა ნავში მოსამსახურენი თავიანთ სახლებში დაბრუნ-დენ. ტერეიმ იმის მაგიერათ რომ ფილომელა სასახლეში მიეყვანა, იგი მოათავსა ერთ შორეულ ციხეში და ურიცხვი დარაჯები მიუ-ჩინა მცველებათ. ფილომელამ მხოლოთ ახლა იგრძნო, რომ ტე-რეიმ იგი რაღაც სხვა აზრით მოაცილა სამშობლო ქვეყანას. ფი-ლომელა თვალ-ცრემლიანი ემუდარებოდა ტერეის ჩემ საყვარელ პროკნასთან წამიყვანეო. ფრაკიის მეფემ ფილომელას მწუხარებით გამოუცხადა, პროკნა დიდი ხანია გარდაიცვალაო. მეფემ ამასთანავე გაუმჟღავნა პანდიონის ქალს თავისი სურვილი კანონიერათ შეულ-ლების შესახებ. ტერეი მჭერმეტყველათ და თავდავიწყებით უმტკი-ცებდა ცოლის დას, რომ პროკნას გარდაცვალების შემდეგ ფრაკიის დედოფლის ადგილი ღირსეულათ ფილომელას ეკუთვნოდა. ფილო-მელას მეფის სიტყვები ძრიელ აკვირვებდა, იგი ეჭვის თვალით უყურებდა ტერეის თითოეულ სიტყვას. მართლაც, თუ კი პროკნა უკ-ვე გარდაიცვალა, ჰფიქრობდა ფილომელა, რასაჭირო იყო, რომ ტე-რეიმ იგი ციხეში მოათავსა და არა თავის სასახლეში. ფილომელას ეს ფიქრები შეუბრალებლათ სტანჯავდენ, იგი თვალ-ცრემლიანი თითოეულ მცველს ემუდარებოდა თავისი საყვარელი დის ნამდვი-ლი ამბის მოთხრობას. მართლაც, ერთი მცველი გამოუტყდა ფილო-მელას, რომ პროკნა ცოცხალიაო. ფილომელამ ამ ამბის გაგონების შემდეგ უშიშრათ და გაბედულათ გამოუცხადა ფრაკიის მეფეს, რომ მე იძულებული ვარ საჯაროთ გამოვაცხადო ჩემი ტყვეობის ამბავი, საჯაროთ ვამცნო თემთა საზოგადო კრებას შენი ტყუილები და ბო-როტი განზრახვაო. ტერეი ძრიელ შეაშინა ფილომელას გაბედულ-მა სიტყვებმა, და მართლაც რომ ეს ბოროტი განზრახვა საქვეყნოთ არ გამომჟღავნებულიყო, ბრაზმორეულმა მეფემ გაელვარებული ხმლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენა ამოსჭრა საცოდავ და სრულიად უდანაშაულოთ დატყვევებულ ქალს. ტერეი ახლა დამშვიდდა, ჩემი ბოროტი განზრახვა საქვეყნოთ არ გამოაშკარავდებაო და, როცა სასახლეში დაბრუნდა, დედოფალს მწუხარებით მოახსენა ფილომელა გარდაიცვალაო. დის სიკვდილის ამბის გაგებამ ძრიელ დაამწუხარა საცოდავი პროკნა. დედოფლის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. ნაცვლათ ოქროთ ნაქსოვი ტანსაცმელისა დედოფალი უმალვე შეიმოსა მძიმე შავებით.



ფილომელა ციხეში საცოდავათ დროს ატარებდა და თავის გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ ვერავისათვის ხმა ვერ მიეწვდინა. ათას გვარ შეეწროებას ითმენდა საცოდავი ქალი, მაგრამ მეფეს ცოლ-ქმრობაზე მაინც არ თანხმდებოდა. ფილომელა ახლა სულ იმის ფიქრში იყო, რომ პროკნასათვის ემცნო რაიმე-ფერათ თავისი გაჭირვებული მდგომარეობა. დიდის ფიქრის შემდეგ ანალგაზდა პატიმარმა მოქსოვა თეთრი წამოსასხამი

და შიგ ფერადის ძაფით ჩააქსოვა თავისი გაჭირვების ამბავი. მცველმა-კი ეს მოსასხამი დედოფალს ჩუმათ გარდასცა. პროკნამ საიდუმლო წამოსასხამის ფერადის ქსოვილების საშუალებით ყველაფერი გაიგო. დის გაჭირვებული მდგომარეობის ამბავმა პროკნა ერთიანათ შეაშფოთა. დედოფალმა გარდასწყვიტა თავისი გამხეცებული მეუღლის სამართლიანათ დასჯა.

პროკნამ ერთ დღესასწაულ დღეს მოიწვია სამეფოს წარჩი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებული მანდილოსნები და მათთან ერთათ გაემგზავრა ქითრა-და ღმერთების მსხვერპლის შესაწირავათ. როცა მგზავრები მიუახლოვდენ ციხეს, საცა ფილომელა იყო დამწყვდეული, დედოფალმა მხლებლებს ამცნო საქმის გარემოება და სთხოვა დახმარება უდანაშაულო დის გასათავისუფლებლათ. დედოფალი და სახელმწიფოს წარჩინებული მანდილოსანნი შეიჭრენ ციხეში. დარაჯებმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაუბედეს დედოფალსა და სამეფოს წარჩინებულ მანდილოსანთ, ფილომელა გაათავისუფლეს.

პროკნამ ახალგაზდა პატიმარი სასახლეში მიიყვანა. საცოდავი სანახავი იყო უენო, ფერმიხდილი და გამხდარი ფილომელა. დები გულ-მკერდში ჩაკრულნი დიდხანს, დიდხანს ქვითინებდენ. სასახლეში მყოფნი მანდილოსნები ცოდვისაგან იწოდენ და თავის მწარე ცრემლებს დების მდუღარე ცრემლებს უერთებდენ.

პროკნას მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, იგი იტანჯებოდა დის საცოდაობით, მისი გული მეუღლისადმი სიძულვილით ივსებოდა.



— „შეუძლებელია, ყოველად შეუძლებელი, ტერეის სიმხეცე ასე დაუსჯელათ ჩავატარო!... ცეცხლით გადავბუგავ მთელ სასახლეს, ხმლით გაეუპობ გულს ჩემი დის ენის მომჭრელს, თვითონვე მას ენას ამოვკვეთ, თვალებს დავთხრი! ღმერთო ჩემო! მე თვითონაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ეიცი, რა საშინელებას ჩავიდენ!..“ პროკნა ამ სიტყვებს ხმამაღ-ლა გაჰკიოდა და რაღაც საშიშარ საქმისათვის ემზადებოდა.

ამ აღელვების დროს ოთახში შემოვიდა ტერეის პირმშო პატა-რა ვაჟი იტი. პროკნამ საზარლათ შეჰყვირა: „ღმერთო!.. რა რიგათა ჰგავს ეს საზიზღარი თავის გამხეცებულ მამას!..“ ამ სიტყვებთან ერ-თათ საბრალო დედა და ფილომელა დაუყონებლივ, სრულიად მო-უფიქრებლათ, მიიჭრენ უდანაშაულო მსხვერპლთან და ნაკუწ-ნაკუ-წათ ასჭრეს საცოდავი ბავში.

ტერეი სასახლეში დაბრუნდა. მეფემ ჯერ კიდევ ფილომელას განთავისუფლებისა და იტის მკვლელობის შესახებ არა იცოდა-რა. სასახლეში შემოსვლისთანავე მეფემ თავისი პირმშო შვილი მოი-კითხა.

— „შვილო! იტი, სადა ხარ?“ ჩვეულებრივი სიყვარულის კი-ლოთი შეეკითხა ტერეი. ამ დროს ოთახში უეცრივ შემოვიდა ფი-ლომელა და საბრალო მშობელს იტის გასისხლიანებული თავი თეფშ-ზე დადებული მიართვა.

ტერეიმ ამ საშინელ სურათის დანახვაზე ერთი საზარლათ შე-ჰყვირა და ამოღებული ხმლით მოხუცი პანდიონის ქალებს მოსაკ-ლავათ უკან დაედევნა. მაგრამ დახვეთ საკვირველებას! ფილომელას და პროკნას უეცრივ ფრთები გამოესხათ და ერთი ტყისაკენ გაეშუ-რა, ხოლო მეორე ბანზე შეფრინდა. ფილომელა გარდიქცა მერცხ-ლათ, პროკნა-კი — ბულბულათ. ნიშნათ იმ დანაშაულობისა, რო-



მელიც პანდიონის ქალებმა ჩაიდინეს, ბულბულის და მერცხლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთები დღესაც სისხლის ფრათაა შეღებილი. ფრაკიის გამბრძოლი ლი მეფე ტერეი ოფოფათ გარდაიქცა. ბულბულსა, მერცხალსა და ოფოფ შორის ამის გამო მუდამ დაუცხრომელი შუღლი და სიძულ- ვილია ჩამოვარდნილი. ოფოფი აქამომდე განუწყეტელი ზდევნის ბულბულსაც და მერცხალსაც.

ნ. უუმისთუელი.

(ოვიდიუსიდან გადმოღებული)

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი კვერი

(ამბავი მარკ ტვენისა)

I

ს მოხდა ოლივერ კრომველის დროს. *) მთელ ჯარში მაჭფერზე ასალგაზდა და გამოცდილი ჰოლ-კოვნიკი არ მოიჰოვებოდა. ჩვიდ-მეტი წლიდან დაიწყო საშსახუ-რი და ოც-და-ათის წლისა უკვე ჰოლკოვნიკი იყო. ბევრ გალაშქრებაში მიიღო მონაწი-ლეობა მაჭფერმა. უკანასკნელ ომის შემდეგ მას მოულოდნელათ ერთმა შემთხვევამ თავ-სარი დასცა. სამთრის გულ-გამასიებელი გმელი საღამო იყო. გა-

*) ოლივერ კრომველი, 1658 წ. ხუთი წელიწადი მმართველი იყო ინგლისისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ საშინელი სიბნელე იდგა. ქარი გამალებული ჭქროდა. ოთახში გულ-საკლავი სიჩუმე გამეფებულიყო. ჰოლკოვნიკმა და იმისმა ცოლმა ერთმანეთს შესჩივლეს თავიანთი მწუხარება. ახლა ჩუმათ ისხდენ ბუსარ-წინ:—მხოლოთ დუმილი და მოლოდინი-ღა შეეძლოთ. მოლოდინიც დიდხანს ალარ მოუნდებოდათ: საცაა უნდა მოსულიყვენ. ცოლი მალმალ შეშფოთდებოდა ხოლმე თუ რომ ფაჩურს გაიგონებდა.

ამათ ერთი შვიდი წლის ქალი ჭყავდათ, სახელათ აბბი, საცაა ისიც უნდა ოთახში შემოსულიყო და დედ-მამასთვის «ღამე მშვიდობისა» ესურვა, ამის გამო ჰოლკოვნიკმა თავის ცოლს დაბალის ხმით უთხრა.

— მოიწმინდე ცრემლები და ეცადე დამშვიდდე ჩვენი შვილის გულისათვის მაინც, ჰატარა ხანს მაინც დავიცოცხლოთ საშინელი მომავალი!..

— ვცდილობ დავიცოცხლოთ, მაგრამ გული მევსება ბოღმით.

— ჩუმათ, აბბი მოდის.

კარებში ჰატარა აბბი გამოჩნდა, გრძელი ღამის ჰერანგით. მხრებზე გადაშლილი ხშირი ხუჭუჭი თმა უმშვენებდა თავს. აბბი მამის მუსლებზე ჩამოჯდა, უკანასკნელმა კოცნა დაუწყო.

— მამა, ნუ მოკვდი ბაგრე, თმა სულ გამიწეწე.

— მაპატიე, ჩემო შვილო, ვწუხვარ რომ გაგწეწე, ნუ გამიჯავრდები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, არ გაგიჯავრდები, განა შენ გწყინს, რომ თმა გამიწეწე?

— მიყურე, აბბი, როგორა მწყინს,— და მამამ თვალებზე ხელები დაიფარა, თითქო ტირისო. ბავშს შეეშინდა, რომ ასეთნაირი მწუხარება მიაყენა თავის მამას, ცდილობდა ხელები მოეშორებინა, თანაც იმეორებდა:

— ნუ ტირი, ნუ ტირი! მე როდი მინდოდა შენი წყენა!

უეცრივ შეამჩნია, რომ მამა არა ტირის და წამოიმახა:

— საძაგელო, შენ არა ტირი, ტყუილათ იგონებ! გამიშვი, მე დედასთან წავალ, შენ მე დამკინი.

აბბის უნდოდა ჩამომსტარიყო მამის მუხლებიდან, მაგრამ მამამ არ გაუშვა.

— არა, ჩემთან დარჩი, ჩემო საყვარელო! მე ბოდიშს ვისდი შენ წინაშე. მიბრძანე, რით კინდა დამსაჯო ამ საქციელისათვის? მე ყველაფერს აგისრულებ.

მამა და შვილი შერიგდენ. აბბი წინანდებურათ იღიმებოდა. ალერსით მამას თმას უწეწდა და თან ეხვეწებოდა ხლაპარი მითხარიო. ამ დროს...

დედ-მამამ სული გაკმინდა და სმენათ გადაიქცა. ფეხის ხმა! თანდათან ახლოვდება, მაგრამ, არა, გაიარეს. ფეხის ხმა მიწყდა. ახლა-კი ორივემ თავისუფლათ ამოისუნქა და მამამ წარმოთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზღაპარი? მხიარული?

— არა, მამა, ძალიან საშიში. განა ყოველთვის მხიარული ზღაპარი უნდა მიამბო ხოლმე. ძიძამ მითხრა: ადამიანებს, ყოველთვის როდი აქვთ მხიარული ცხოვრებაო. მართალია, მამა?

დედამ ამოიოხრა: ამისი ფიქრები ისევ საშიშ მომავალს მიუბრუნდა. მამამ მწარეთ უპასუხა:

— მართალია, შვილო! ქვეყანაზე მხიარულებაც არის და მწუხარებაც; ეს ძალიან სადარდელია, მაგრამ მართალი კია.

— მაშ, მამა, ისეთი ზღაპარი მითხარ, რომ მწუხარება იყოს აწერილი, ისეთი საშიში-კი, რომ ყველანი შიშისაგან ვკანკალებდეთ. დედა, ახლო დაჯექ, ხელი დამიჭირე, რომ ძალიან არ შემეშინდეს. ახლა დაიწყე, მამა!

— კარგი! იყო და არა იყო რა, იყო სამი ჰოლკოვნიკი...

— მე ვიცი, ვინც არიან ჰოლკოვნიკები. შენ ხომ ჰოლკოვნიკი ხარ? მერე!

— შენ იცი, შვილო, ჯარში ყოველთვის დისციპლინა უნდა იყოს.

გაუგებარმა სიტყვამ აბბი გააკვირვა, ამან თავი მაღლა აიღო და მამასა ჰკითხა:

— მამა, მაგასა სჯამენ?

მშობლებმა უნებლიეთ გაიღიმეს; მამამ მიუგო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, შვილო, ეს სულ სხვაა: ჰოლკოვნიკებმა უფროსის ბრძანება არ შეასრულეს. იმათ ნაბრძანები ჰქონდათ, ისე აჩვენეთ თავი მტერს, ვითომც უნდა დაეცნეთო, მაგრამ თავს დაცემა-კი ჯერ არ გაბედოთო. ჰოლკოვნიკები ისე გაიტაცა ბრძოლამ, რომ მტერს მართლა თავს დაეცნენ, დაამარცხეს და ხურგი აქცევინეს. უფროსს ეწყინა ბრძანების დარღვევა, თუმცა იმათი თავგანწირული ბრძოლა მოიწონა, მაგრამ მაინც უნდა დაესაჯა ესენი.

— უფროსი — კრომველია, მამა?

— დიახ!

— მე მინახავს, მამილო, ამას წინეთ ჩვენ სასლ წინ გაიარა. თითქო ვიღაცას უწურებოდა, ეველას ეშინოდა მაშინ იმისი... მე-კი არ მეშინოდა. მე ისე კეთილათ შემომხედა!

— ოჰ, შე ძვირფასო ლაკლაკავ! ეური უგდე ზღაპარს... ჰოლკოვნიკები დაატეეეეს და ლონდონში ჩამოიეანეს; აქ ჰატიოსანი სიტეეა ჩამოართვეს და თავ-თავიანთ სასლებში წასვლის ნება მისცეს ნათესავებთან გამოსათხოვებლათ...

ისევ ფესის ხმა მოისმა. ეველანი სმენათ გადაიქცენ. არა, გაიარეს. ცოლ-ქმარს შიშით გული უკანკალებდა.

— აი, შვილო, ჰოლკოვნიკები დღეს დილით ჩამოვიდენ ლონდონში.

ბავშმა გაკვირვებით შეჰხედა მამას.

— როგორ, მამა, ეგ ზღაპარი არ არი, ეგ მართალია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიას, ჩემო მვირფასო!

— როგორ მიხარიან! ეგა სჯობია, მერე? დედა, რა მოგივიდა, გენაცვალე, ტირი?

— არაფერი, შვილო, მე.. საბრალო ნათესავებზე ვფიქრობ...

— ნუ ტირი, დედა! კარგი ბოლო ექნება, ამბობენ: სუფველა ამბავს საშიში დასაწყისი აქვს ხოლმე და კეთილი ბოლოო. მერე, მამა, მერე, დაამშვიდე დედა...

— როდესაც პოლკოვნიკები ლონდონში ჩამოიყვანეს, ტაუერში ჩასხეს—ეს ცისა.

— ჭო, მე ვიცი რო ცისა. აქედანა ჩანს შენობა. მერე, მამა!

— ტაუერში ძალსამართლეებმა გადაწყვიტეს პოლკოვნიკები თოფით დაესვრიტათ.

— მოეკლათ, მამა?

— ჭო, შვილო!

— რა საძაგელი კაცები ეოფილან! დედა, შენ ისევ ტირი? ნუ ტირი, კარგი ბოლო ექნება ამ ამბავს. მალე გვიამბე, მამა, რა ძალიან ნელა გვიამბობ.

— მართალია, შვილო, მაგრამ თან უნდა ვიფიქრო.

— ნუ ფიქრობ, პირ-და-პირ გვიამბე!

— კარგი,— სამ პოლკოვნიკს...

— შენ იცნობ იმათ?

— ჭო, შვილო... სამ პოლკოვნიკს სიკვდილი გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწევიტეს. ეველანი ძალიან იყვენ შეწუხებულები; თითონ მსაჯულებიც-კი, ისინი უფროსთან წავიდენ და ასე მოახსენეს: ჰოლკოვნიკებმა თავიანთი მოვალეობა შეასრულეს, არ შეიძლება აპატიოთო? ან თუ არა, ერთი დასაჯეთ, სამის მაგივრათაო. უფროსმა უარი გამოაცხადა ამაზე, რადგანაც თუმცა ჰოლკოვნიკებმა თავიანთი მოვალეობა კეთილათ შეასრულეს, მაგრამ უფროსის ბრძანება-კი დაარღვიესო; უნდა საქმეენი დაისაჯენ, როგორც მაგალითი სხვებისათვისაო. უფროსმა ჰოლკოვნიკები მიიხმო და ჰკითხა, თქვენ როგორ-ღა მოიქცეოდით ჩემს ალაგასაო. საქმეემ უპასუხა: ჩვენ ღირსნი ვართ, დაგვსვრიტეთო, რადგანაც თქვენი ბრძანება არ შევასრულეთო. ამ სიტუვებმა უფროსის გული მოალბეს; ერთ წუთს ჩაფიქრდა და უბრძანა: წილი ჭეარეთ, ერთი მოკვდეს, ორი-კი ცოცხლები დარჩითო.

— მერე, მამა, წილი ჭეარეს? როქელი უნდა დასაჯონ, — საწუალი?

— არა, უარი გამოაცხადეს.

— რათა, მამა?

— იმათა თქვეს, ის ვისაც ერგება სიკვდილი, ხომ თავს თავის ნებით იკლავსო, მაშ თავის კვლას გვირჩევთო? საძნიკენი ქრისტიანები არიან. სასარება გვიკრძალავს ჩვენ თავის მოკვლას. ისინი საძნიკენი ირჩევენ სიკვდილს, რადგანაც მსაჯულებმა ასე გადასწვიტეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ, მამა, სიკვდილს ირჩევენ?

— ჰო, შვილო, უნდა თოფით დახვრიტონ.

ისევ ფეხის ხმა მოისმა...

ქარია? არა, ფეხის ხმაა... ბუკისა და საყვირის ხმა...

— კარი გააღეთ — კანონის ძალით!

— სალდათები არიან, მე ძალიან მიყვარან სალდათები. კარებს გავუღებ, ნება მოგეცით, მამა!

აბბი მამის მუხლიდან ჩამოხტა, მიირბინა კარებთან და გააღო...

— მობრძანდით, მობრძანდით! მამა, გრენადერები არიან! მე ვიცნობ გრენადერებს!

სალდათები ოთახში შემოვიდენ და გამწკრივდენ. ოფიცერმა ჰოლკოვნიკს სალამი მისცა, უკანასკნელმა სალამითვე უპასუხა.

ცოლს სიკვდილის ფერმა გადაჭრა, ცდილობდა მღელვარება შეეკავებინა. ქმარს გვერდით ამოუდგა. აბბი მხიარული სახით შესცქეროდა ყველას... ჰოლკოვნიკმა მაგრათ ჩაიკრა გულში თავისი საყვარელი ცოლი და შვილი, მერე გაუძღვა წინ სალდათებს და, კარებიდან რო გავიდა, უბრძანა:

— ჰირ-და-ჰირ ტაუერში!

— ჭსედავ, დედა, რა კარგათ გათავდა! მე არ გეუბნებოდი? მამა საცოდავ ჰოლკოვნიკების საშველათ წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საბრალო! — წაიჩურჩულა უბედურმა დედამ და გულში ჩაიკრა შვილი.

II

მეორე დღეს უბედური დედაკაცი დარდისაგან ისე ავათ გახდა, რომ ქვეშაგებიდან ვეღარ ადგა. ექიმი და მომვლელი ქალი ჯერ-ჯერით უვლიდენ ავათმყოფს; აბბის დედასთან არ უშვებდენ, შეაწუხებო. აბბიმ იფიქრა: მამა ტაუერშია, დედას ავათმყოფობა არ ეცოდინებაო; სახქაროთ ჩაიცვა და ქუჩაში გამოვარდა.

იმ დღეს მსაჯულები კრომველთან მივიდენ, რომელიც შუა ოთახში გაჩერებულიყო და დაღვრემილი ელოდა, როდის დაელაპარაკებოდენ. ერთმა მსაჯულმა წარმოთქვა:

— ჩვენ დამნაშავეთ წილის ყრა ვურჩიეთ, მაგრამ უარჰყვეს: საძნიველი დაგვხერიტეთო.

კრომველს სახე უარესათ მოექუშა, დიდხანს გაჩუმებული იდგა.

— კარგი, წარმოთქვა ბოლოს, — სხვამ ვინმემ ჰყაროს წილი იმათ მაგივრათ. მოაყვანინეთ დამნაშავენი, როდესაც მოვიდენ, შემატყობინეთ; იმ ოთახში დააყენეთ ისე, რომ კარებს ზურგი შეაქციონ, ხელები ზურგზე დააწყობინეთ.

მსაჯულები გავიდენ. კრომველი რო მარტო დარჩა, მორიგე აფიცერი მოიხმო და უბრძანა: ქუჩიდან ერთი ბავ-

ში მომიყვანეთო. მორიგე რა წამსაც ქუჩაში გავიდა, წინ აბბი შეეფეთა; წაავლო ხელი და კრომველს მიჰგვარა. აბბი თამამათ მივიდა კრომველთან, რომლის დანახვაზე წარჩინებულნიც-კი თრთოდენ, მუსლზე ჩამოუჯდა და უთხრა:

— მე თქვენ გიცნობთ, თქვენ კრომველი ბრძანდებით! მე თქვენ წინათაც მინახევსართ, გახსოვთ, ჩვენ სახლის წინ რო გაიარეთ? ყველას ეშინოდა მაშინ თქვენი, ჩემს გარდა. თქვენ მაშინ გაჯავრებული არ მიყურებდით, გახსოვთ? მე არ გახსოვართ?

— მოიცა, ჰატარავ... მოვიგონო.

— დაგვიწყებივართ, მე-კი კარგათ მახსოვხართ.

— მრცხვენიან მაგისი, ამას იქით მე აღარ დამავიწყდები, გაძლევ სიტყვას. მომიტევებ? დავმეგობრდეთ! შენ ჩემ ქალს მაგონებ; მომიკვდა, ისიც შენისთანა ალერსიანი იყო... არც იმას ეშინოდა არავისი, ყველასთან თამამათ მიდიოდა; ყველას გაბედნიერებდა ხოლმე თავისი ალერსით; ის ხშირათ მიჯდა ხოლმე მუსლზე, აი ასე, შენსავით და ჩემი გულიდან განდევნიდა ხოლმე ბოლმას. ჩვენ განუშორებლივ ერთათ ვიყავით, ერთათ ვთამაშობდით. კარგა ხანმა გაიარა მას აქეთ...

— თქვენ ძალიან გიყვარდათ თქვენი ქალი? ძალიან?

— ძალიან! ის მიბრძანებდა ხოლმე, მე ბრძანებას ვასრულებდი.

— რა კეთილი ყოფილხართ, მაკოცეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდის სიამოვნებით. აი ეს კოცნა შენ, ეს ჩემ ვაჟარას! შენ შეგიძლიან ახლა მიბრძანო, მე დაუყოვნებლათ აგისრულებ ბრძანებას.

აბბიმ სიხარულით ტაში შემოჰკრა. კარს უკან წუნარი ფეხის ხმა მოისმა.

— სალდათები, სალდათები! უნდა დავინახო!

— ახლავე, ვაჟარავ, მოიცადე, ერთი რამ უნდა დაგავალო. კრომველმა საში ვაჟარა სანთლის კვერი ამოიღო, ორი თეთრი, ერთი წითელი; ეს უკანასკნელი ერთ-ერთ დამნაშავის სიკვდილს მოასწავებდა.

— რა კარგი კვერებია! ჩემებია? წითელიც?

— არა, ჩემო კარგო! სხვებისათვის მოგეცი. მეორე ოთახში შეისვდე, იქ შენ სამ კაცს დაინახავ, რომელნიც ზურგ შემოქცეულები იდგებიან; მიდი და ყველას თითო კვერი ჩაუდე ხელში, მერე ისევ ჩემთან მოდი.

აბბი მეორე ოთახში გავიდა.

«ალბათ, თვითონ ღმერთმა მაფიქრებინა ესაო, გაიფიქრა კრომველმა, მარტოთ რო დარჩა: ახლა დარწმუნებული ვარ, ღირსეულნი დარჩებიან ცოცხლები!!»

ამასობაში აბბი მეორე ოთახში ცნობის-მოუვარეობით სალდათებს და სამ გაუნძრევლათ მდგომარე კაცს უყურებდა. უეცრივ ტუჩემზე მზიარულმა ღიმილმა გაურბინა. აბბიმ წაიჩურჩულა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ო, ერთი ხომ მამაჩემია! ვიცანი. მე მამას ... ავერს მიეცემ!

მხიარულათ მიეპარა ბავში მათ და თითო კვერი ჩაუდო გამოწვდილ ხელში. მერე მამას ხელ-ქვეშ თავი გაუო და დაელაპარაკა:

— მამილო, მამილო, უეურე, რა გაქვს! მე მოგეცი!

იმან ხელზე დაიხედა, მუხლებზე დაეცა და გულში ჩაიკრა თავისი შვილი, რომელიც იმისი მკვლელი გახდა. სალდათები, აფიცრები და სიკვდილს გადარჩენილნი ერთ წუთს გაქვავებულნი იდგენ. შემდეგ ეველამ ქვითინი ამოუშვა, ცრემლით ტირიდენ ეველანი. ასე გაიარა რამდენმამე წუთმა. ბოლოს მორიგე აფიცერი მივიდა მაჭფერთან, დაადო მხარზე ხელი და უთხრა:

— მეძნელება თქვენი წაეეანა, მაგრამ ჩემი მოვალეობა მიბრძანებს...

— რას გიბრძანებს?—დაეკითხა აბბი.

— რომ მამა შენი წავიეეანო...

— წაიეეანო? რათა?

— რათა? ამ ცისის მეორე ნაწილში უნდა გადავიეეანო.

— არა, ეგ არ შეიძლება.—დედა ავათ არის, მამა მე უნდა წამომეეეს შინ.

აბბიმ მამას კისერზე მოჭვია ხელი: — წამო, მამილო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საბრალო, შვილო, ვერ წამოგუვები, ამათ უნდა გავუვე.

ბავში მამას მოეშორდა და აქეთ-იქით ცქერა დაიწყო, მერე მორიგე აფიცერს მიუახლოვდა, ფესი დაჭერა იატაკს და შესძახა:

— მე არ გითხარი, დედა ავათ არის-მეთქი! უნდა მალე წავიდეთ შინ!

— ფულით რო გამოისყიდებოდეს მამი-შენის სიცოცხლე, გამოვიყიდდი, მაგრამ რო არ შეიძლება. წინ წამოდექით, წაიყვანეთ.—უბრძანა სალდათებს.

აბბი მეორე ოთახში ისარივით გავარდა. იმ წამსვე კრომველი გამოიყვანა, რომელსაც მაგრა ეჭიდებოდა ხელზე. სალდათები გაჩერდენ ერთ ალაგას.

— დედა ავათ არის, მამა უნდა დედასთან წავიყვანო, ამათ ვუთხარი და არ მიგონებენ, მიჭუავთ.

კრომველი შეკრთა,

— როგორ «მამა?» მამა შენია?

— ჰო, მაშ! ნუ თუ ლამაზ, წითელ კვერს მე სხვას მიეკემდი, თუ არ მამას.

— ღმერთო! ამოიკვნესა კრომველმა,—მე ყველაფერი უკეთესათ უნდა მომეწყო, და რა უბედურება ხდება!

აბბი მოთმინებიდან გამოვიდა.

— შენ შეგიძლიან უბრძანო და გაანთავისუფლებენ,— ეუბნებოდა ტირილით აბბი: უბრძანე ამათ; შენ არ მითხარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ თხოვნას სუეოველთვის შევასრულებო? ამასა გთხოვ, შენ-კი ჩემი თხოვნის ასრულება არ გინდა.

ღიმილმა გაუნათლა დაღვრემილი სახე კრომველს, რომელმაც აბბის მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— მადლობა ღმერთს! დროზე მოვასწარ, შვილო, შენ მართალი ხარ: მე ჰირობა მოგეც, შენ თხოვნას შევასრულებ-მეთქი, ჩემი მოვალეობაა ავასრულო კიდეც. ჰოლკოვნიკო, თქვენ თავისუფალი ხართ, წაიყვანეთ თქვენი შვილი.

ნინო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგელოზები.

ბავში ერთ მანდილოსანს ქოხში სამი დღის ბავში მოუკვდა. მელოგინე დედაკაცს ამ დროს არავინ მიჰკარებია, თითქოს დიდი ცოდვა ყოფილიყოს მშობიარის დახედვა, ან არავის ჰცოდნოდეს საბრალო დედის გულის ტკივილი. ვიდრე ბავში გადიცვლებოდა მასთან შეეიდა მხოლოთ დიაკვნის ცოლი სალომე. ქალიკმამ ფეხზე წამოდგომით პატივი სცა და, ვიდრე დაჯდებოდა სტუმარი, დაიჩივლა:

„ვაჰმე, შვილი მიკვდება, ნეტავი ი მღვდელი შინ იყოს, რომ მომენათვლინა მაინც ეს საცოდავიო“. სალომემ ჯერ ანუგეშა და მერე უთხრა: „თუ მამა მღვდელი შინ არ არის, მე ხომ აქა ვარ, მე მოვნათლავო“.

— „თუ კი შეიძლება, მეტი მადლი რაღა იქნებაო“, უთხრა გაკვირვებით ქალიკმამ.

სალომემ მაშინვე წყალი შეათბო და ჩაასხა ხონში; მერე ბავში ჩამოართვა, გაჰხადა ტანისამოსი, დაარქვა სახელი, სამ-გზის ამოშობა წყალში ამ სიტყვებით: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. მერმე პირჯვარი გამოისახა, ბავში დედას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასცა და დაჰძინა: „ახლა ნათელღებული და ქრისტიანებში ჩარიცხულია შენი ეაქუნა, ნულარ გეჯავრიანო“.

სალომემ იმ დღეს დაძმარებულ ქალიმკას თავი არ დაანება. ბავშ-კი ორი, სამი საათის შეჰდეგ უკვე გადაიცვალა. მართალია ეს მამამაც შეიტყო, ბიძებმაც, რძლებმაც, მეზობლებმაც, მაგრამ იქ არავის გაუვლია, არავინ მოსულა ქალიკმას მაზლის-წულის შვიდი წლის ხვთისოს მეტი, რომელიც სოფლის სკოლაში სწავლობდა. მოვიდა დიაკვნის შვილი სოლოც, თბილისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფე და კუბო გააკეთა. მერე იმან, ქალიკმამ და სალომემ საფლავი ამოთხარეს და იქვე ქოხის ახლოს დამარხეს პატარას გვამი. ხვთისოც იმ დროს იქ იყო და მწარეთ ტიროდა.

მთელი დღე ხვთისოს ფიქრები პატარის საფლავს დასტრიალებდა, რომელიც იმას მეტის ნეტათ აშფოთებდა. ამ საფლავმა იმ ღამეს დაძინების დროს ლოგინში ახლა სხვა მოუნათლავი ბალღების საფლავები მოაგონა, საერთო სასაფლაო ქვევით, სადღაც, მოშორებით, სადაც ბევრჯელ ჰყოლოდა ზაფხულობით ხბოები. მოაგონდა ისიც, „არა ცხონდებიანო“; გული მწუხარებით აევსო და დაიწყო ტირილი: „დალოცვილო ღმერთო, ამბობდა ის: ნუ დაჰკარგავ, ნუ დაჰკუპავ იმათა. შენ შეიბრალე და შეინახე ის უბედურებიო!“

იმ ღამეს ხვთისომ სიზმარიც ნახა: მითომ გარეთაა, ცა განათებულია და მოისმის საოცარი ხმები. ენახოთ: მაღლიდამ ჯერ დაეშვა ერთი ანგელოზი, ჩამოჯდა ახლათ გადაცვლილი ბავშის საფლავზე, ამოიყვანა ისა და შეისვა მხრებზე. დაეშვა ახლა მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, ბევრნი; ჩამოვიდენ ხვთისოს საჯავრო ბალღების საფლავებზე, ამოასხეს შიგ მწოლარენი, ჩაიკრეს გულში და ღვთის საიდებელი საგალობლებით გასწიეს უსამზღვრო ცის სიერცისკენ!

ხვთისოს გახარებულს გამოეღვიძა, პირჯვარი გადიწერა და სასოებით წარმოთქვა: „დიდება, დიდება, უფალო ჩენს ბრაველ მოწყალებასაო!“

მერე აღარც უდარდნია.

ბაჩანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთის დედოფალი ევდუქსია.

ათინელ ფილოსოფოსს ლეონს ჰყავდა ქალიშვილი სახელათ ათენაისი. ის ისეთი ლამაზი და ჭკუა—განვითარებული იყო, რომ მისმა მამამ სიკვდილის წინეთ იფიქრა, რომ მას სარჩო არ ესაჭიროებაო და მთელი თავისი მემკვიდრეობა გარდასცა მის ორ ძმას. მაგრამ განათლება და სილამაზე ახალგაზდა ქალს ყოველთვის ვერ ააშორებს სიღარიბეს. ის ისეთი ყმაწვილი იყო, რო ათინაში სკოლის გახსნის ნებას არ მისცემდენ და თუ ვისმე უნდოდა მისი ცოლათ წაყვანა უმზითოთ რომ ეგულებოდათ ვერ ბედავდენ. როდესაც ათენაისს მამა მოუკვდა ის მხოლოთ თოთხმეტი წლისა იყო. ყმაწვილ ქალს ეკონა რომ ძმები გვერდიდან არ მოიშორებდენ და ის განაგრძნობდა თავის მამის სახლში კვლავ სწავლას, მაგრამ მოტყუვდა. მემკვიდრეობას მოკლებული ყმაწვილი სახლშიაც არ დააყენეს, ბოროტმა ძმებმა გააგდეს მამის კერიდან და ასე უთხრეს: „მამა ჩვენმა შენ უფრო კაი წილი გიწილადა; ჩვენ მოგეცა მხოლოთ თავისი ქონება და შენ-კი თავისი ცოდნა-განათლებაო“.

გაჯავრებულმა ძმების უსვინიდისო საქციელით ათენაისმა მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითხოვა რაც კანონით ერგებოდა, უნდოდა მიეღო თავისი მემკვიდ-
რეობის წილი, მაგრამ რადგან იმედი გადუწყდა რომ ათინაში იპო-
ვის სამართალს, გადასწყვიტა წასულიყო კონსტანტინოპოლში და
თვით ხელმწიფის წინაშე ეჩივლა. როდესაც ათენაისმა დააპირა ასე
შორს გამგზავრება, ზოგიერთ ნაცნობებმა აღუთქვეს მას შემწეობა.

ახალგაზდა ქალმა გზაში მამაცურათ აიტანა ბევრი განსაცდელი
და ბოლოს მიაღწია აღმოსავლეთის სატახტო ქალაქს, სადაც ხელ-
მწიფობდა მაშინ თეოდოსი მეორე, „მცირეთ" წოდებული. ეს
ხელმწიფე პატიოსანი და სათნოებით სავსე კაცი იყო. ის აძ-
ლევდა ბინას თავის სახელმწიფოში იმ სპარსელ ქრისტიანებს,
რომელნიც განდევნილნი იყვენ თავიანთ სახელმწიფოდან რჯულის
მიტოვების გამო. ერთხელ, როდესაც სპარსელ ქრისტიანების მდევ-
ნელმა ვარაზინმა მოინდომა მათი სპარსეთში დაბრუნება, თეოდოსმა
უთხრა ამ ელჩს, ვარაზინს, რომ თუ ძალით წაიყვანენ ამ სასოებით
სავსე ქრისტიანებს, მაშინ მე, ხელმწიფე, იძულებული ვიქნები ძალა
ვიხმაროთ.

ათენაისს უნდოდა პირდაპირ ხელმწიფეს გამოსცხადებოდა და
მიერთმია თავისი თხოვნა, მაგრამ მერე გადიფიქრა, რადგან ზოგი-
ერთებისგან გაიგონა, რომ ხელმწიფის მახლობელნი, კარის კაცნი,
შურით კვდებიან, როდესაც მათ გარდა სხვა მიეკარება ვინმე
მეფეს. ყველა ახალ მოსულებს გზას უკრავენ და ყოველ წამს კე-
დელიეთ ეფარებიან, რომ ნახვითაც არაფინ ნახოს ხელმწიფეო.

სხვა მიზეზიც ჰქონდა ათენაისს, რომ ხელმწიფე კარგათ არ მი-
ეღებდა ამ ახალგაზდა და ლამაზ ქალს, ის არ იყო ქრისტიანი. აღ-
მოსავლეთის ხელმწიფე-კი ისეთი სასტიკი სარწმუნოების კაცი იყო,
რომ მის სასახლეში ადვილათ არ შეუშვებდენ კერპთ-თაყვანისცე-
მელს.

თუმცა კოსტანტინოპოლში ეს ქალი მარტოთ მარტო იყო და
მფარველი არავინა ჰყავდა, მაგრამ მისმა შესანიშნავმა სილამაზემ მი-
იქცია ყველას ყურადღება და ვისაც გაეგო იმის ლაპარაკი და მსჯე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა, იმათ ხომ ხმა დააგდეს მთელ ქალაქში, რა მახვილი ჭკუის და საოცარი ნასწავლი იყო ეს ქალი.

ამ ქალის ქებამ მიაღწია ხელმწიფის დის პულხერიას ყურამდის და იმან მოინდომა ამ შესანიშნავი ყმაწვილი ქალის გაცნობა. ათენაისმა რომ შეიტყო ხელმწიფის დის სურვილი მიეიდა ერთხელ ტაძრის კარებთან, სადაც ყოველ დღე მოდიოდა პულხერია სალოცავათ. როდესაც ეს ჩვეულებრივ მოვიდა სალოცავათ კიბეზე დაინახა მშვენიერი ათენაისი, რომელსაც გარშემო დიდძალი ხალხი ეხვია. ხელმწიფის და მიუახლოვდა თუ არა ხალხმა გაიწია და ტაძარში შესასვლელათ გზა მისცა. პულხერია ერთ წამს შედგა და რამდენსამე ხანს აღტაცებით შესცქეროდა ლამაზ ქალს, მერე როდესაც დატკბა მისი ცქერით დაუწყო ათენაისს მუსაიფი. თოთხმეტი წლის ფილოსოფოსი ქალი თავმდაბლათ აძლევდა პასუხს, მის სიტყვებში იმდენი გამჭრიახობა და სინაზე გამოიხატებოდა, რომ პულხერია აღტაცებაში მოვიდა და მოინდომა საოცარ უცხოელ ქალთან დამეგობრება. კიდეც მიიწვია თავისთან ერთათ ლამაზი ათენაისი ტაძარში, მაგრამ ათენაისმა იქ შესვლაზე უარი უთხრა.

— მე ვერ ვილოცავ თქვენ ტაძარში, დედოფალო, რადგან ქრისტიანი არა ვარო.

პულხერია თითქოს შეშინდა და საჩქაროთ განშორდა ახალგაზდა ქალს, რადგან იმას ძალიან ეჯავრებოდა კერპთ-თაყვანის-მცემლები. ათენაისმა შეატყო რომ ამისმა უკანასკნელმა სიტყვებმა პულხერიაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინეს და მოინდომა საჩქაროთ გაესწორებინა თავისი საქციელი და არ მოეშორებინა ეს კეთილი ქალი, რომელიც ათენაისისთვის ძალიან საჭირო იყო.

— მართალია, დედოფალო, მე არა ვარ ქრისტიანი, მაგრამ ისე არაფერი არ მენატრება, როგორც გაქრისტიანება. მე თქვენი სარწმუნოებისა ბევრი წიგნები წამიკითხავს და კიდეც იმ წიგნების წყალობით გამეხსნა ჭკუა და განვითარდი. ესეე იყო მიზეზი, რომ ჩემ ყმაწვილობაში ნახული ამბები შემეზიზღა და მონათელას ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოველი, როგორც ღვთისაგან მოვლენილ წყალობას. ვაგონ ვინ იქნება შემავედრებელი იმ ღმერთთან, რომელსაც თქვენ ასე თაყვანს სცემთ? ვინ იკისრებს ჩემ მონათვლას? მე ა-ავის ვიცნობ ამ ქვეყანაში!..

და თავისი მშვენიერი თვალებით მორცხვათ გადახედა დედოფალს. იმან გულში ჩაიკრა და უპასუხა:

— ჩემო კარგო, თუ შენ გულში მართლა ღვივის სარწმუნოება, თუ ეძებ სიმართლის საზრდოს იცოდე, რომ მე შენი მფარველი ვიქნები. მსურს მე თვითონ გიხელ მძღვანელო და გამოგიყვანო იმ სიბნელიდან, რომლის ბურუსით მოცული ხარ. შენ კერპთ-თაყვანის მცემლის სახელს ათენაისს უარ ჰყოფ. მე ვიქნები შენი ნათლია და სახელათაც, როგორც ღვთის მოყვარე დედა, მე დაგარქმევ ევდუქსიას.

მაშინ ორივენი შევიდენ ტაძარში და ახალგაზდა ქალმა, რომელიც ერთი წუთის წინეთ ამ დიდ ქალაქში სრულიად უპატრონოთ იყო, ახლა მფარველათ იშოვა ისეთი გავლენიანი პირი, მეფე თეოდოსის და, რომელსაც სახელმწიფოში ბადალი არა ჰყავდა.

დედოფალმა ყმაწვილი ქალი დააბინავა ერთ ღვთისნიერ და პატიოსან ოჯახში. მალე დადგა ის სანატრელი დროც, როდესაც ათანაისი ევდუქსიათ უნდა მონათლულიყო. რა იცოდა ამ ქალმა რომ თავის მამის სარწმუნოების შელახვის დროს ხელმწიფურ ძალას მოიპოვებდა!

პირველი კარის კაციდან დაწყებული უკანასკნელამდის ყველა დღესასწაულობდა და ყველას საპატიოთ მიაჩნდა დასწრებოდა ნათლობას, რომელიც შესძენდა ქრისტიანებს ერთ წმიდა სულს.

ხელმწიფე თეოდოსმა ინება დღესასწაულზე დასწრება და საბამ ნათლობის წეს-რიგს ასრულებდენ თვალი ვერ მოაშორა და აღტაცებით შესცქეროდა ამ თოთხმეტი წლის ათინელ ბრძენ ქალს.

რამდენისამე დღის შემდეგ დიდის ამბით წარუდგინა ხელმწიფის ასულმა თავის ქმას ლეონის ქალიშვილი, რომელიც სამართალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხოულობდა მემკვიდრეობის შესახებ. ხელმწიფემ თეითონ ევდუქსია ალაპარაკა, რადგან მისი ტკბილი ხმის გაგონება იამებოდა, და როდესაც ქალმა თავისი საჩივარი მოახსენა თეოდოსმა უთხრა:

— რაც უნდა დიდი მემკვიდრეობა იყოს მამითქვენისა მაინც მე მგონია თქვენი წილი, რომელსაც ასე უსამართლოთ არ გაძლევენ არა ლირს ნაჩუქარ გვირგვინის ფასათ. დღეის იქით ნულარ იფიქრებთ, რომ ობოლი ხართ, ჩემი ოჯახი თქვენი ოჯახია. თქვენი თავი ნუ გგონიათ ბორ-ტ-ძმების ხელში, რომელთაც გამოგაგდესთ. თქვენ ათენაისი-კია არა ხართ, ლეონის ქალიშვილი — თქვენა ხართ ევდუქსია, აღმოსავლეთის ხელმწიფის ცოლი.

ხელმწიფის ლაპარაკის დროს ევდუქსიას ფერი წაუვიდა და მთლათ ცახცახი დააწყებინა. რას იფიქრებდა რომ ღეთისაგან ამისთანა ბედი მოელოდა. დედოფალმა, რომ დაინახა ქალს გული შემოეყარაო, მიეშველა და ჩაიკრა გულში, თანაც დაარწმუნა რომ ეს სიზმარი არ არის.

— აღმოსავლეთის დედოფალო, მოდით გონზე, გადაეხვიეთ პულხერიას, თქვენ დას!

როდესაც დადგა დღე ევდუქსიას დაგვირგვინების და დაქორწინებისა ამ დროს კონსტანტინოპოლში იყვენ ორი კაცი, რომელნიც შიშით ვერ ახსენებდენ დედოფლის სახელს. ეს კაცები ტყვეთ იყვენ წამოყვანილი ათინიდან და დამწყვდეული სასახლის დარბაზში, სანამ ხელმწიფის ცოლი გადასწყვეტდა მათ ბედს. ადვილი მისახვედრია, რომ ესენი იყვენ ახალი ხელმწიფის ცოლის ევდუქსიას ძმები. ევდუქსიამ თეითონვე მოაყვანინა კონსტანტინოპოლში რათა ენახათ ძმებს დის ბედნიერება და სინანული აღძროდათ თავიანთ საქციელში. მართლაც ისე რცხვენოდათ იმათ თავიანთი საქციელისა რომ ერთი-მეორეს აბრალებდა.

ახლათ დაგვირგვინებულებმა დიდის ამბით გაიარეს მთელი ქალაქი და ისე შევიდენ სასახლეში, აქ დიდძალი ხალხი დაუხვდა ეაშას ძახილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზდა ხელმწიფის ცოლმა, რომელსაც გარს ერტყა მთელ სასახლის კარის კაცნი, იკითხა: ტყვეები აქ არიან თუ არაო, მაშინვე უპასუხეს: „აქ არიანო!“ მაშინ მოითხოვა ორივე ძმები მომიყვანეთო. მის წინ წარადგინეს ისინი, როგორც დამნაშაეენი, რომელთაც სიკვდილი მოელოდათ. უბედურებმა ვერც-კი გაბედეს თავის გამართლება, მუხლებზე დაეცენ ხმა-ამოუღებლივ ეედუქსიას წინაშე. ახალმა დედოფალმა დაამშვიდა ძმები და შურის-ძიების მაგივრათ უთხრა ის სიტყვები, რა სიტყვებიც მან გაიგონა პულხერიასაგან: „წამოდექით და გადაეხვიეთ თქვენ დასო!“

ან. წ— ისა.

(ფრანგულიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ANEGDOTEBI.

ერთმა ჰატარა ბავშმა ჩირგვზე ჩიტის ბუდე იპოვნა, შიგ ჰატარა ბარტყებით. ის სისარულით სტოდა და სარსარებდა. საჩქაროთ დედას წაუღო ნაპოვარი. «რა გინდა უო მაგ ბარტყებს»? შეეკითხა დედა ჰატარას.—«ო, მე მინდა გავზარდო ესენი».—შენ გგონია, ჩემო ლამაზო, რომ მაგათ დედა არა ჰყავთ? «რას იტყოდი, შენ რომ მოეპარე ვისმე დედაშენისათვის?» ბავში ჩაფიქრდა და ჰასუხის მაგივრათ, ბუდე თავის ალაგასვე გააქანა.

ერთი თავადი და ერთი ვაჭარი დასეირნობდენ ერთათ. მათ შეხვდა გლეხი და დაბლათ თავი დაუკრა. თავადმა ქუდი მოუსადა, და სალმისათვის სალამი მისცა. «როგორ? გაუკვირდა ვაჭარს, თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ თავს უკრავთ გლეხკაცს!» «მაშ თქვენ გლეხკაცი ჩემზე ზრდილი გგონიათ?» მიუგო თავადმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ქართველი ოსებში – საგან).

მთისა მეცხვარესა ჰკითხე, ბარისა გუთნის დედასო.

—

აქლემი კლდეზე გადაეარდა და ეირმა ღრიალი დაიწყო; რათა სტირიო? ჰკითხეს ეირს.—იმათაო, რომ ჩემი ამოსატანი გახდებაო.

(წარმოდგენილი კ. ფრონისპირელისაგან).

ბუზსა ჰკითხეს რათა ბზუიო.—იმიტომ რომ
როცა ჩუმათა ეარ მადლიერი არაეინ არისო.

—

ომში ნაცადი ხმალისა იმედი გქონდეს სახლშიცო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ქართველი ოსებში — საგან).

ორი სახლი და ერთი ბოძი.

(წარმოდგენილი კ. ფრონისპირელისაგან).

დილის რიჟრაჟზე მოედიეარ,
მინდერათ ეახარებ ყვაეილებს;
ჩქარაეე ექრები, რადგანაც
მზის სხიეი მეტათ მაშინებს.

—

მთას მოეეჭიდე, ტყე ეკაფე
გადაეათეთრე ახოეო,
მთლათ გადაეკაფე რაც იყო
ხელი არაეინ მახლცეო.

—

შაეია შაერა შაერისა
მარდათ ამღები ფეხისა,
ლაგამს ეერაეინ ამოსდებს
კაცი ამ ჩეენი ქეეყნისა.

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან).

დედა ისეე ცოცხალი მყაეს,
მიწაშია, წეეს ძირსაო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი დანახვა კაცისთვის
მართლა, რომ რათმე ღირსაო,
მაგრამ ვინც შემებრძოლება
ვერასა ნახავს ლხინსაო,
წაუქცეველს არ გაეუშვებ
ეაქკაცათ ნაქებ გმირსაო,
ჭკუას, გონებას ავურევ
ჩავაგდებ სადმე თხრილსაო;
თუ თავი არ დამანება
გავუჩენ მუდმივ ჭირსაო.

უჯრების ამოცანა.

(შედგენილი სათ.-ეზნ. სკოლის მოწაფე გ. ავალიანისაგან).



ამ უჯრებში ჩასხით შემდეგი ასოები იმ გვარათ, რომ გამოვიდეს ერთი ქართული ანდაზა: შ, ე, გ, ნ, ბ, ა, თ, ი, დ, ნ, ა, ლ, მ, ი, რ, ა, ყ, ო, მ, ი, ე, დ, რ, ა, ო, ვ, მ, ა, მ, რ, ი, რ, ა, ხ, ო, უ.

არითმეტიკული ამოცანა.

(წარმოდგენილი გ. ფრონისპირელისაგან).

იპოვნეთ იმისთანა სამი რიცხვი, რომლების მესამე რიცხვი უდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიდეს ორ წინა რიცხვს—ერთათ შეერთებულს. თუ ამ სამივე რიცხვს ერთათ შეეერთებთ გამოვა 10 და თუ ერთი—ერთმანეთზე გავამრავლებთ მივიღებთ სამჯერ მეტს რიცხვს.

ახა გამოიცანით რა რიცხვები უნდა იხმაროთ?

შარადები.

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაკან).

დ-ონი ი-ნსა შეუერთე
ჰპოვე სიტყვის ნახევარი,
დანარჩენი საძილეა
ქორფა ყრმის დასატევარი.
მთელი სოფელსა მსახურობს;
შემოსდის შესაწირავი.

ანბანის უხმო ასოთი
იწყება ჩემი სახელი,
ბოლო ხოცვაა ხალხისა
ძრწუნდება მისი მნახველი;
მთელი მხეცია და ნახავ
თუ არაბეთში წახვედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი

ე [უარი], თ ,

, ჩ ვ , ე [მინდორი]

, 10, [კავშირი] [უცოლო ღვდელი], ლ ე

[ბ], , თ [უ], ა [რ], [მათხოვარი]

ეროვნული ბიბლიოთეკა

Წ, ნარდის ოთხი

 , ი Ს, 100,

Ე, ს ᲦᲚ ა

№ VI გამოცანებისა.

აკროსტიხი: აკაკი.

გამოცანა: ბუ.

გამოსაცნობი: ბალიასტომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჯრების ამოცანა:

ბ	ა	ვ	შ	ვ	ს	რ	ო	მ	კ	ა	კ	ა
ლ	ს	მ	ი	ს	ც	ე	მ	ი	მ	ი		
ს	ი	გ	ა	ს	ა	ტ	ე	ხ				
ი	ც	თ	ა	ნ	უ	ნ						
დ	ა	გ	ა	ა								
ტ	ა	ნ										
ო												

1) სკა.
2) ნუცა.
3) ბრმა.
4) თმა.
5) სამშობლო.
6) სტვენა.
7) ციხე.
8) სმა.
9) გიტარა.
10) კვასი.
11) ინი.
12) დ.

რებუსი: ოდეს კაცსა ეჭირვება მაშინ უნდა ძმა და თეისი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეცამეტე

გამოვა 1902 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს **4** მან. თფილისს გარეშე გაგზავნით **5** მან. ცალკე ნომერი **50** კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **თფილისში**—„წერა-კითხვის ˘გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა